გიორგის მშოგლებმა ალბათ 1993 წელს ბააღწიეს აფხაზეთიდან. აწუ, 12 წელია რუსეთში ცხოვრობენ. ეს „როდისმე“, როცა ისინი სამშოგლოში დაბრუნდებიან, ზეიძლება, კიდევ 12 წლის შემდეგ დადგეს. მაგრამ იმ დროისთვის 14 წლის გიორგი, რომელსაც სამშოგლო ალბათ უკვე დღეს არ ახსოვს, 26 წლისა იქნება, აწუ თითქძის მთელი ცხოვრება რუსეთში ექნება გატარებული და იქნება ალარც დაბრუნდეს გაუცხოებულ სამშოგლოში, უფროს სწორად, მშოგლების სამშოგლოში („ჩემზე ვერაფერს გეტყვითო“. უკვე დღეს, 14 წლისა „ხშირად თავს რუსად თვლის, ენით, კულტურით, ცხოვრების წესით“, მაშინ კი რუსული ენა, კულტურა და ცხო

მკითხველ-ხარ გაც-ეპოსკენ მიმავალ-ი ვხარ პეწვის ხიდზე გარეთ

ეკატერინა ნონა ეიოშვილი

1. რას ფიქრობთ XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. გამართლებულია თუ არა წიგნის გადაძცემა კომერციისა და გიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?
3. რა მიგაჩნიათ არსებით პროგლემად საქართველოსთვის?
4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?
5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
6. რაზე მუშაობთ ამჟამად?

●21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე საუბარი ნაადრევია, თუმცა ჩანასახშივე ეტყობა და სრულიად ჩვეულებრივ მოვლენადაც უნდა ჩაითვალოს, ამ საუკუნის ლიტერატურული ტენდენციები მკვეთრად განსხვავებული რომ იქნება ჩავლილი საუკუნის პროგესებისაგან. რრდილიდან მზეში გასულმა ადამიანებმა ჯერ თვალი უნდა შეაჩვიონ სინათლეს, გევრს თვითდამკვიდრების შანსი გაუჩნდა და შესანიშნავად იყენებს კიდეც ამ შესაძლებლობას. მკითხველია გულებიანაკენ მიმავალი გზა გეწვის ხიდზე გადილ... ერუდირებული ქართველი მკითხველი წაუკითხავს არაფერს დატოვებს, თუმცა გულში მხოლოდ ლვთიური მადლით გაჯერებულს დაიტოვებს.

ლიტერატურამ ნეგისმიერ საუკუნეში მზის სხივივით უნდა შეაღწიოს ადამიანთა სულის დაბუნულ ლაბირინთში შელწევა, რაც მის არსებობას გაამართლებს.

●რა თქმა უნდა, არ არის გამართლებული, თუმცა ჩემი აზრის გამოთქმა მიმდინარე პროცესებს ვერ შეაჩერებს. საგამომცემლო გიზნესის განვითარებას დრო მოითხოვს, მაგრამ ამ გიზნესში მონაწილეობას, სამწუხაროდ, ხშირად სწორედ ისეთი ადამიანები ვერ ახერხებენ, რომელთა ნიჭიერებაში ეჭვი არავის ეპარება.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში. ვეჭვობ, ქართულ კლასიკურ მწერლობასთან გაუცხოებული ადამიანები მათთვის ადვილსაკითხავ, მარტივ წიგნს მოიძიებენ, რასაც ჩვენ მდარე ლიტერატურას ვეძახით.

არსებობს გემოვნებიანი და უგემოვნო მკითხველი. სამწუხაროდ, უკანასკნელის რიცხვი გაიზრდება და... გაიზრდება.

●ერთ-ერთი არსებითი პროგლემა საქართველოში სულიერების ნაკლებობაა, რაც თავის თავში მოიცავს უამრავ მანკიერებას, რომლის ერთ-ერთი სინდრომი „მწუხარება სხვისა სიკეთეს ზედაა“.

ლვთისმშობლის მადლიან კალთას შეფარებული ერი ლვთიური სინათლისკენ უნდა მისწრაფოდეს, „ვინაიდან ვიწროა კარიგძე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისკენ მიჰყავს, და მცირედნი ჰპოვებენ მას“ (მათეს სახარება, თავი 7.14ძ

●ტრადიციული კლასიკური მწერლობა ადამიანის პიროვნებად ჩამომყალიბებელია (ყოველი შემთხვევისთვის, დღემდე ასე ფიქროობდნენ. თუ რას კარგი არსებობს ჩემში, ტრადიციული კლასიკური მწერლობის დამსახურებაა და მე მარადიულად ვალში ვრჩები ამ მშვენიერი და ადამლეგული ფრიზის წინაშე.

წლების მატებასთან ერთად იხვეწება შენი ლიტერატურული სმენა, თუმცა ერთი რამ უდაოა – საყვარელი ნაწარმოები მონატრებული, გულწრფელი მეგობარივით გულში უნდა ჩაინუტო. უკითხე, უანგარო მეგობარს აბა, სად იპოვი დედამიწაზე?!

●ენა, რომელიც ამდენ საიდუმლოს ინახავს და „იმარხავს“, გევრად ფაქიზ მოპყროობას იმსახურებს, თუმცა ჟამად ძველელი დრო ხშირად ენისადმი არასათუთ ურთიერთობაში შემჩნეულთ უფრო გამოჰყრის ხოლმე ცხოვრების ასპარეზზე. ხელოვნება ხელოსნობას არ უნდა დაემსგავსოს და მოდურად ან მოდიდან გასულად არ უნდა იქცეს. ის ხომ „ხვათა ხავერდების და ღვერთების ენით“ იქმნება?

●ამჟამად ჩემი აბა-იძ გაფანტული ლეძსების ერთად შეკრებას და წიგნად გამოცემას ვაპირებ.

„ღლე ღლეს გადასცემს სიტყვას,
ღამე კი ღამეს უმხელს აზრს“

ფს. 18 (19ძ

მე კი ჩემს მკითხველს ჩემი განცდილი ღლეებისა და ღამეების შესახებ სტრიქონთა ენით ვესაუბრები.

ჩაიწერა
თამარ შაიშმელაშვილმა

⊙ ღლე შემემცნებების სიხარულისა

გონების სიამოვნება

გასული წლის 27 დეკემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში ერთხელ კიდევ გაიბრწყინა ქართულმა მეცნიერულმა აზრმა. ამ ღლეს ძალბატონ გვანცა კოპლატაძისთვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭებასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველ პიზანგნინსტთა მიერ დიდი ერუდიციისა და ნეგისმიერი სირთულის საკითხებისადმი საკუთარ ხედვათა წარმოჩენამ შესძინა.

ახლა, როცა საქართველოს განათლების სისტემის მოშლისა და დაკნინებისთვის უცხოური პროგრამები აჩქარებული ტემპით მუშავდება, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, იმ ღლეს ცნობილი ქართველი მეცნიერები დინჯად საუბრობდნენ შესაძლებლობა და ემანაციებზე, პროტოტიპსა და ხატზე, დოგმატსა და ზნეობაზე, ქრისტიანობასა და ნეოპლატონიზმზე, თეოლოგიასა და ფილოსოფიაზე, საეკლესიო და საერო მეცნიერებათა კავშირის მნიშვნელობაზე. სადისერტაციო ნაშრომი სწორედ ამ საკითხებს მოიცავს, კონკრეტულად კი მასში კასარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსის, წმინდა გასილი დიდის (IV-ს.ძ თეოლოგიური, პედაგოგიური, ეთიკური და ფილოსოფიური შეხედულებები სისტემატურად არის ჩამოყალიბებული.

იმ ღლეს ქართულმა მეცნიერებამ დროზე გაიმარჯვა, ჟამთა სიავეს აჯობა. ყველა გამომცდელი – სამეცნიერო საბჭოს წევრები, ოფონენტები თუ დისერტანტი – მთავარი თემით, სადისერტაციო ნაშრომის საგანთა ჭვრეტით იყო მოცული და დარბაზსაც იმ მადლს ჭვენდა, შემეცნების სიხარულს ან, დიდი ივანეს სიტყვებით, „გონების სიამოვნებას“ რომ ახლავს.

ეტყობა, მართლაც საკვირველი სიმტკიცე აძვს ჩვენს ძირსა და ჯინალგს. თორემ, რა დასამალია და, ღლევანღლელ საქართველოში პოეტები სიკვდილს ნატრულობენ, ფიქრი უნივერსიტეტისა და აკადემიის შესაძლო განადგურებაზე გონებას ამღვრევს, თვისთა ცოდვათა განუცდელობა თითქოს ახალ განსაცდელს გვიმზადებს. ამ დროს კი ამ პატიოსან მეცნიერთა დასი იმედს გადებს: მთავარი ის არის, რომ ჩვენი გონი ცოცხალია, მას ზომიერად განსჯის უნარი არ დაუკარგავს! – ამ შეუდრეკლობამ და რწმენამ მადარჩენისა მშვენიერი ანას სურათი გამახსენა: „და ტყეებში ქართველები გლაოდნენ“, მაგრამ „მოლიოდა, ნინო მთეგითი მოდიოდა“ სიმშვიდით, სიყვარულითა და სარწმუნეგით. წმინდა ნინომ მრავალი განსაცდელის შემდეგ სანატრელი ვაზის ჯვარი საქართველოში მაინც მოიტანა და, როგორც ჩანს, თავის განსაკუთრებლობასა და გამორჩეულობას (**მოციქულთასწორი ქალწული** მხოლოდ ქართველთა განმანათლებელიაქ დასაგამი თვისტომთა შორისაც დაუდო. ამჟჯერად, წერილის თემიდან გამომდინარე, ქართველ ქალთა რჩეულობის მხოლოდ ერთ ასპეძტზე შეთანერეგთ თქვენს ყურადღებას.

ბიზანტიური და ქართული ქრისტიანული ლიტერატურის ისტორია, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მხოლოდ ორ ძალს იცნობს: ბიზანტიელ მწერალს, მშვენიერებითა და სათნოებით შემკულ კასიას (IX ს.ძ და ქართველ მნიგნობარს, განათლებულსა და საგმოგლოს მოყვარულ გატონიშვილს მაკრინეს (XVIII ს.ძ, ასულს ირასელი პირველისა. ისინი, ქრიტიადად, ცნობილნი არიან როგორც ჰიმნოგრაფები. აი, ჩვენი თანამედროვე ქალბატონი გვანცა კოპლატაძე კი არა მხოლოდ ავტორია სადისერტაციო ნაშრომისა **„ძველი ალთქმის კოპენტარები ბასილი დიდის თხზულებებში“,** არამედ თვით ამ თხზულებათაგან ორი უმთავრესის – „ჰოგილიები ექვსი დღისათვის“ და „ფსალვნთა კოგენტარები“ – ძველი ბერძნულიდან მთარგმნელიც არის. ჩვენი წინასპირი დიდი მამების ტრადიციის ალდგენა, ამდენი საუკუნის წყვეტილობის შემდეგ და თანაც ქალბატონის მიერ, დამეთანხმებით, დიდი პასუხისმგებლობაა და, ამასთანავე, დიდი წყალობაც, რომელიც ღმერთმა დაუფვა ჩვენზე.

თარგმანისა და, საერთოდ, ძნელ გვანცას კუბლიციტური წერილების, გამოკვლევებისა და ნაშრომებისათვის სხვადასხვა დროს არაერთი შესანიშნავი შეფასება მიუცია ათპატიცეემულ და დამსახურებულ მეცნიერებს: აკაკი ურუშაძს, აკაკი გაწერელიას, მარიამ ლორთქიფანიძს, თინათინ ფაუხრიშვილს, ნოდარ ლომოუოს, რისმგგ გორდეზიანს, გრიგერ ფარულავას და სხვ. ასევე, ქართული სიტყვის მესაიდუმლეთ – ანა კალანდაძს და ჯანსუღ ჩარკვიანს, მაგრამ, რაც ძნელია, ეს არის ლოცვა-კურთხევა და დაფასება მისი უნიდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისაგან. მხოლოდ ერთ წერილობით ჯილდოს გავიხსენებთ. შარშან, როცა საპატრიარქოს გაზეთ „მადლს“, რომლის რედაქტორადაც ძ-ნი გვანცა დაარსების დღიდან არის დანიშნული, გამოცემის 15 წელი შეუსრულდა, მისმა უნდიდესობამ მისალოც წერილში აღნიშნა: „მადლმა“ მადლი მოიტანა საქართველოშიო.

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ძნ გვანცას საუნივერსიტეტო მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობას ჰარმონიულად უთავსებს სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ლექციების კითხვას, ხოლო საპატრიარქოში – გამომცემლობის ხელმძღვანელობას, რომლის თავმჯდომარეც 1993 წლიდან გრძანდება.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა მისი შემოქმედებისა და თავდადებული მოღვაწეობის თაობაზე, მაგრამ ყველაფერი ერთ ხნის ფარგლებშია. ჩვენი მხრივ, თქვენი გაზეთის რედაქციასთან ერთად, რომელთანაც ძ-ნ გვანცას დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს, ვულოცავთ მას შობა-ახალ წელს და ვუსურვებთ ღმერთის წყალობა და მფარველობა არ მოკლებოდეს.

გრიგოლ რუხაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

⊙ კეისარს – კეისრისა

ასეთი კაცი შინ უნდა იჯდეს?



ქართველები ღირსეული ერის შვილების ჯეროვან დაფასებაში რომ მოვიკოჭლეთ, არახალი ამბავია. ნამდვილ მამულიშვილთა სათანადო პატივისცემება ოდითგანვე გვეშალეგოდა და დიდების პიედესტალზე ბევრი ისეთი ადამიანი აგვიყვანია, სრულებით რომ არ იმსახურებდა, ბევრ ნამდვილ ამაგდარს კი არათუ შარავანდედი, მცირედი ალიარებაც არ ღირსებია.

ჩვენი წერილის გმირიც, სამწუხაროდ, ამ ბოლო კატეგორიას განეკუთვნება. მიუხედავად წარმატებებისა და მიღწევებისა, ფელიქს ღლონტი ელემენტარული ყურადღების დეფიციტს ხალხისგანაც განიცდის და სახელმწიფოსგანაც. მის ტალანტსა და გაძანებას სამშობლო ვერც აფასებს და ვერც თავის საკეთილდღეოდ იყენებს.

სახელოვანი კომპოზიტორის ფელიქს ღლონტის აზროვნება ერთ კონკრეტულ სფეროს სცილდება და სხვა სილრმეებსა და სიმაღლეებსაც იპყრობს. იგი პროფესორია და უკვე წლებია კლასიკური აკადემიური მუსიკალური აზროვნების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ პროგლემებზე მუშაობს.

შესაძლოა, ადამიანი არც იცნობდეს ფელიქს ღლონტის მდიდარ შემოქმედებას, მაგრამ მის დამსახურებათა და წოდებათა შთამგეძდავი სიისთვის თვალის შევლებისთანავე ამ პიროვნების მიმართ მოწიწება და პატივისცემა უმალ დაეუფლება.

კომპოზიტორი, პროფესორი, ჭუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ამერიკის შეერთებული შტატების დიდების დარბაზის წევრი (2003 წ.ძ, ს. პროკოფიევის სახელობის კომპოზიტორთა III საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი, აშშ-ს ორგზის წლის ადამიანი (2001 და 2003 წ. წ.ძ, დიდი გრიტანეთის კემბრიჯის საერთაშორისო ინტელექტუალური ცენტრის მიერ აღიარებული მიღწევებისა და თავისი დამსახურებებისათვის შეყვანილია ჩვენი პლანეტის დიდ ინტელექტუალთა ათასეულში – ყველა ეს წარმატება და აღიარება უკავშირდება ერთ ადამიანს, სახელად და გვარად ფელიქს ღლონტს.

ბევრმა შეიძლება, არც კი იცის, რომ ფელიქს ღლონტს ეკუთვნის საოპერო უნარში ორი ბამორჩეული ნაწარმოები – „იბერიელები“ და „კლეოპატრა“.

ფელიქს ღლონტის №11 სიმოფონის „The Open World“ გაცნობის შემდეგ ბერძანელმა პროფესორმა, იაპონიის იმპერატორის პრემიით დაჯილდოებულმა კომპოზიტორმა ჰანს ვერნერ ჰენ�ე თავისი გაოცება და უზომო კმაყოფილება ამგვარად გამოხატა:

„პირველივე წაკითხვით ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა. თქვენი სიმფონიისგან მე არაჩვეულებრივად ღრმა და ძლიერი შთაბეჭდილება მივიღე. იგი გამოირჩევა იდეური სილრმით, გამომახველობით, დიდი პასუხისმგებლობაა და, ამასთანავე, დიდი წყალობაც, რომელიც ღმერთმა დაუფვა ჩვენზე.

თარგმანისა და, საერთოდ, ძ-ნი გვანცას კუბლიციტური წერილების, გამოკვლევებისა და ნაშრომებისათვის სხვადასხვა დროს არაერთი შესანიშნავი შეფასება მიუცია ათპატიცეემულ და დამსახურებულ მეცნიერებს: აკაკი ურუშაძს, აკაკი გაწერელიას, მარიამ ლორთქიფანიძს, თინათინ ფაუხრიშვილს, ნოდარ ლომოუოს, რისმგგ გორდეზიანს, გრიგერ ფარულავას და სხვ. ასევე, ქართული სიტყვის მესაიდუმლეთ – ანა კალანდაძს და ჯანსუღ ჩარკვიანს, მაგრამ, რაც ძ-ნ გვანცასთვის განუზომლად ღირებულია, ეს არის ლოცვა-კურთხევა და დაფასება მისი უნდიდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისაგან. მხოლოდ ერთ წერილობით ჯილდოს გავიხსენებთ. შარშან, როცა საპატრიარქოს გაზეთ „მადლს“, რომლის რედაქტორადაც ძ-ნი გვანცა დაარსების დღიდან არის დანიშნული, გამოცემის 15 წელი შეუსრულდა, მისმა უნდიდესობამ მისალოც წერილში აღნიშნა: „მადლმა“ მადლი მოიტანა საქართველოშიო.

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ძნ გვანცას საუნივერსიტეტო მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობას ჰარმონიულად უთავსებს სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ლექციების კითხვას, ხოლო საპატრიარქოში – გამომცემლობის ხელმძღვანელობას, რომლის თავმჯდომარეც 1993 წლიდან გრძანდება.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა მისი შემოქმედებისა და თავდადებული მოღვაწეობის თაობაზე, მაგრამ ყველაფერი ერთ ხნის ფარგლებშია. ჩვენი მხრივ, თქვენი გაზეთის რედაქციასთან ერთად, რომელთანაც ძ-ნ გვანცას დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს, ვულოცავთ მას შობა-ახალ წელს და ვუსურვებთ ღმერთის წყალობა და მფარველობა არ მოკლებოდეს.

იგორ სტრავინსკისთან ერთად (მარჯვნივ).

ახლა ფელიქს ღლონტი სახლშია ზნის და თავის ნიჭსა და ღრმა აზროვნებას ახალი ნაწარმოებების შექმნას ახმარს.

იმედია, ჩვენი წერილი დაადფიქრებს ჩვენს მთავრობას, ქართველობა და საქართველო გონს მოეგება და ფელიქს ღლონტს ღირსეულ პატივს არგუნებს.

ხუხა ჯანდიერი

ნონა გიორგაძე

ლექსთა კონა

შემოდგომა

მე ვარ შემოდგომა, ჯრელი მოზაიკა... უნავდ მოხატული ფერთა გალეერეა, ღრუბელთ სინოტივე, სულში ლოცვად მიკრავს, თუკი, რა თქმა უნდა, გზა არ ამერია.

მე ვარ შემოდგომა, მტკვნის გაფიცხება, სიხსნლის ადუღება ბადაგ-შარბათებით, ვიწვებ ენკენისთვით, მერე სიცივით და მერე წვიმებით და ზამთრით გაკოცავდები.

მე ვარ შემოდგომა, უხმო გაშიშვლება, უხმო გადაჯკნობა, ფოთოლთ სინანული, ქაბში ეკავილების სუნთქვა გაიშლება ბოლო სიმძაფრით და ბოლო სიეკვარულით.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ ფოთოლცვენა, შუქი გაქრობის და ფერფლად მინაკლვების, ერთ დროს დამდაგეული მწვანილი მხურვალება, ბოლოს ფიფქებით და სვედით ვიმალება.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ განშორება, მე ვარ მონატრება, მე ვარ სიმარტოვე, ხვებს ფოთლები და მინდვრებს ეკავილები, სიერცეს მერცხლები და შენ მე მიგატოვებ.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გარინდება, მე ვარ ჩავლილი და მე ვარ ნაწარსული, მე ვარ მოფერება, მე ვარ დაბინდება, მე ვარ ანარეკლი ეკვლა გაზაფხულის.

მე ვარ შემოდგომა, უცხო სიმბოლიკა, კვნესაგარეული ხიბლი ამინდების, მე ვარ ოქროსფერი ფერის გაგიჟება, მე ვერ დავდუმდები, მე ვერ დავშშვიდდები.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გადადლილი, მზერაგამცვდარი და თრობამორეული, მე ვარ აუხსნელი, მე ვარ ახასხნელი, მე ვარ ახლობელი, მე ვარ შორეული.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გაფითრება, მე ვარ სახწაულის მკვეთრი ნაბიჯები, მე ის სიკეთე ვარ, რომ არ გაითვლება, მე ის ბაეზოობა ვარ, რომ არ დავდინჯდები.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ ლვინობისთვე, მე ვარ ამერისგან ტერფებდამხვრეული, მე ვარ გატაცება, უხმო გატაცება, მე ის ეკავილი ვარ მტკვრში წაქცეული.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გადაფრენა, ჯვბირმორღვეული სივრცე ტკივილების, მე ვარ თვითმკლელობის არსის გამართლება, თუმცა ულაზათოდ მე არ მივიღეკი.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ მოძახილი, მე ვარ გახსენება ძარღვში მოყარდნილი, მე ვარ მოდარდება, მე ვარ მოლანდება, — ალი დამეუბეული ეკვლა მონადირის.

მე ვარ შემოდგომა, მე ვარ გადაბნევა, მე ვარ გადანერგვა ხხივთა ბალიტრების, მე ვარ სიცოცხლე და მე ვარ სიკვდილი და მე ვარ მოლოდინი დიდი დაფიქრების.

მე ვარ შემოდგომა, ფერთა მოზაიკა, ფერთა ჯადოსნური ხილვის გაღერეა, თითქოს მომიეკანეს სულ სხვა სამეაროდან და ამ სამეაროში გზები ამერია...

არის შემოდგომა... დღითი — ღვინობისთვე და ეს ღვინობისთვე ჩემი მფარველია.

* * *

და შენი სუნთქვა
თოლიების ფრთხილი ფეხებით...
დაჭეკარავს სხვეულს
მზის ამდგრეულ დისკოს ვეხები...
მეწვის თითები
გაეინული მქონდა ოდესღაც...
ოი, ეს მღვრიედ მობუებუეე ეოფა მომბეზრდა.
ზღვა მენატრება...
საუკუნე გაწვა ჩვენს შორის...
გადამალული ცის სილურჯე,
შრიალი თოვლის.
ჩემი თბილისი
გაწოლილი ნისლში და შლამში
მე ამ ქალაქის სიეკვარული თუ გამხვეკს შარში
ო, როგორც ეკვლა სიეკვარული
ცისკენ აწვდილი.
გატედება ნავსი,
აეეფდება ვაკის არწივი.
ზღვაო, მომაწედი ქარიშხლებად
ზვირთებს გამრეე!
მზეო, გაუთბე ოცნებები იმერ-ამიერს,
დაუდექ ერთგულ მეცხოვნედ
დაღლილ დარიალს,
თეთრო ღრუბელო,
დაუკოცნე ქოში მარიამს,
მღვროდეს ჩემი საქართველო, მრავალჟამიერ!

შეოლ

დიდი ხანია ვეკლოდები შენს დაბადებას,
მზეზე გამდნარი მიმოზები ეკაოდა უწინ,
ჩემს სულში თუ რა სხსწაული დაიარება,
თითქოს ვხედები და უფრო უკეთ უფალმა უწეის
შენი თითები მელანდება ტაძრის სიმშეიდედ,
ო, ჯერ არნახულ, არგანუცდელ ტკბობას
მპირდები,
ო, გეფიცები, ჩემს უხილავ ფრთებს მოეიმიშვლებ
და ალიონზე მზესთან ერთად ამოვბრწეინდები.
ჩამომედვენთე დაღლილ სულზე ცისფერ
სანთლებად,
გამინატიფე სიცოცხლე და ამავსე კდემით,
ჩემს სულში თუ რა სათნოება დაიბადება,
იცის უფალმა, მეც ქალური გუმანით ვხედები.
ჩვილის თითები მელანდება ტაძრის სიმშეიდედ,
ო, ღმერთო ჩემო, მზეზე დადგრილ სიერცეს
მპირდები.
ო, გეფიცები, ჩემს უხილავ ფრთებს მოეიმიშვლებ
და ცისკიდურზე მზესთან ერთად ამოვბრწეინდები.

* * *

რა არის სიკვდილი?!
ისეთი არაფერი...
თვალებს დახუჭავ და...
მოვა...
მერე დაიწეება...
ვისთვის ნაცრისფერი...
ვისთვის ვარდისფერი თოვა...
დარდი გაბეერდება...
ცრემლი დაბერდება...
ლოცვა დაიდვრება ეკლოვად...
რა არის სიკვდილი?!
ისეთი არაფერი...
თვალებს დახუჭავ და...
მოვა...

* * *

გარდაიცვალა ციცინათელა,
თვალები დარჩა ღია,
ჩემს ხელისგულზე გაქაავებული
თეთრი იები ჰეერა.
გარდაიცვალა ციცინათელა,
თვალები დარჩა სახტად,
უფალმა ღამით რატომ აჩვენა
რაც მან მზის გულზე ჰხატა?!
გარდაიცვალა ციცინათელა,
ფრთები ეძინელა ფრთიანს

სადღაც სიზმარში ტირის ენძელა
სადღაც სტრეკონში ია
გარდაიცვალა ციცინათელა,
თვალები დარჩა ღია.

* * *

მე ვარ უდაბნო და...
მოდი დამეწვიმე...
ცრეშლმა გიგლოვა და...
დავეშრი.
იქნებ ათასჯერაც
სჯობდა გამეწირე, —
მე მაინც ერთგული დავრჩი.
მე ვარ უდაბნო და...
მოდი. შემაფხიზლე.
გვალვა შემათრთოლე წვიმით,
მე კი მოგატარებ
იმ ლურჯ ოაზისებს,
შენ რომ შეატო

◎ გენერალისიმუსის გზა

ხრუშჩოვი:

— მიხეილ ანდრეევიჩ, რატომ არ იხილავენ ფართოდ XX ყრილობის შედეგებს პარტიულ აქტივებსა და კრებებზე?

სუსლოვი:

— დიდ ქალაქებში, როგორც მოსკოვი და ლენინგრადი, განხილვა აქტიურად მიმდინარეობს, მაგრამ ცალკეული პარტიული ორგანიზაციები სიზარმაცეს იჩენენ.

— მიხეილ ანდრეევიჩ... თუ მოსკოვში ყველაფერი დასასრულს ფლობილია, მაშინ რატომ არ განიხილა დღეემდე მწერალთა კავშირმა ყრილობის შედეგები?

— ამის შესახებ უკვე დიდი ხანია ეცნობა სუსკოვსა და ფადეევს.

— სუსკოვი და ფადეევი — ეს ჯერ კიდევ არ არის მწერალთა კავშირი! ახლა ფადეევისათვის საუბეთესომაგობარია არაყი, ხოლო იდეალი — გორკი და ფოლოხოვი! ალბათ, გაგვინაწყენდა, კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა რომ დაკარგა, იქ ევმა შეწყვიტა სიარული და, როგორც წინათ, ალარ ესწრებოდა პარტიის პლენუმებსა და ყრილობებს. ზოგჯერ ფოლოხოვთან ერთად გამოწნდებოდა აბა-იქ და მაშინვე მეგობრები ძალაქბარეთ გადიოდნენ, რუსულ არაყს სვამდნენ, დედას აგინებდნენ ხრუშჩოვს და დიდი სევდით სტალინს იგონებდნენ...

... კარგი, ხვალ ფადეევი მოვიდეს ორ საათზე.

რატომ გამოიძახა? წერილებზეც ხომ პასუხი არ გაუცია. ფადეევი ალნიშნულ დროზე გამოცხადდა. შეევდა. რატომღაც ხრუშჩოვი გარტოიყო. სტალინმა ასეთი მილება არ იცოდა.

თუ წინათ ფადეევს ეჩვენებოდა, რომ აქ იჯდა არწივი, ახლა მოელანდა, რომ მის წინაშეა ფასკუნჯი.

— როგორაა საქმე, ალექსანდრ ალექსანდროვიჩ?

— გვარიანად.

— რატომ გვარიანად? ისეთი ნიჭიერ მწერლებს, როგორიც ფადეევია, ყველაფერი კარგად უნდა ჰქონდეთ.

— გამალლოთ. ლმერთმა ქნას, ასეც იყოს.

ფადეევი ვარაუდობდა, რომ საუბარი შეეხებოდა ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ წერილებს, მაგრამ ხრუშჩოვმა, თითქოს ასეთი წერილები არ არსებულიყოს, საუბარი სხვა კუთხით წარმართა:

— ალექსანდრ ალექსანდროვიჩ... როგორც თქვენთვის ცნობილია, XX ყრილობაზე ჩვენი პარტია ოდნავ გაბედნიერდეთ. ეს მოთხოვნაა არა ჩემი, არა თქვენი, არამედ დროის და მთელი ხალხისა. დარამდენადაც შეუდეკეთ ოცდაჩვიდმეტი წლის გარჩევას, ამიტომ ვალდებული ვართ ოცნან წლებსაც შევეხოთ, გადავხედოთ წარსულს არა ცალსახად, არამედ მრავალმხრივ.

ფადეევმა კუუბტად და გულგრილად თავი დაუქნია.

— როგორც იცით, ოცდაორო წელში მეცნიერთა და მწერალთა დიდი ჯგუფი საგანგებო რუსეთიდან ემიგრაციაში წავიდა საზღვარგარეთ. ლენინის სიტყვებიდან, ისინი იყვნენ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის მტრები, მისი ნამდვილი გაბოროტნელები. ცნობილია თუ არა თქვენთვის, მაგრამ ვინ ბრძანებდა მათ?

ფადეევი ჩუმად იჯდა, არ ეთანხმებოდა, მაგრამ არც საპირისპირო გამოთქვამდა.

— იცით... ბორკი.

... ხრუშჩოვი ცოტა ხნით გაჩუმდა, შემდეგ წყნარად განაგრძო:

— აი, რის გამო გინდეთ... აბასნინათ... ჩვენთან... ცენტრალურ კომიტეტში მოვიდა გორკის ოლქის პარტიისა და კულტურის ხელმძღვანელთუს წერილი, რომ ძალაუძს დაუბრუნდეს ადრინდელი სახელოწოდება — ნიჟნი ნოვგოროდი. ამ წინადადებას მხარს ვუჭერ არა მარტო მე, არამედ სხვებიც... მეორე, როგორც თქვენთვის ცნობილია, ივნისში გამიმართება მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელზეც გამოცხადთ თქვენ და დაუმალავად ყველაფერს იტყვით გორკიზე. ელენუშის შემდეგ, როდესაც ნიჟნი ნოვგოროდს თავის ნამდვილ სახელს დაუბრუნებთ, გორკის სახელს გამოთართმევთ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიუტს. აბიტომ მე, როგორც კომუნისტმა პოლიტიკოსმა... რომ მწერალთა კავშირში გაიმართა კრება. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: „პარტიის XX ყრილობის შედეგები“.

ხრუშჩოვის „ისტორიული მოხსენების“ შემდეგ ეგრალელი მწერლები ფუტკრებივით დასტრიბნენ ფადეევს. როდესაც ცოცხალი იყო საბჭოთა მწერლების ბედს წყვეტდა ორი ადამიანი — სტალინი და ფადეევი, — ამგზადა ერთ-ერთი მათგანი (გლიადხინინ). ბევრი ლიტერატორი უდანაშაულოდ ჩაყარეს ციხეებში, ზოგი მათგანი დღემდეც იჯიტანჯვეთა. სტალინი მოკვდა, ფადეევი კი ცოცხალია და ჩვენ შორის ზის. მან ვასუნი უნდა აკოს ჩვენ წინაშე საკუთარი თავისა და სანინისათვის!..

ფადეევმა კიდევ ერთხელ იგრძნო, რომ სიტყვები ტყვიებზე უფრო ძლიერია. თუ ტყვია გულში ჩაგვიდა და გაშინვე კვდები, სიტყვები, განსაკუთრებით უსამართლონი, ცოცხლად გწვავს. ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია.

ისევაც, 54 წლიდან, მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობიდან, რომლისაც იგი რიგითი გახდა, და არა გენერალური მდივანი, მას ბევრი მტერი გაუჩნდა, დაწყდა ული იმ მწერლებიც, რომელთათვის ცუდი რამ არასდროს გაუკეთებია.

13 მაისს ღამით ვერანაირად ვერ დაიძინა. დასაკინებელი წამალიც კი დალია, მაგრამ ვერაფერი უშველა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დილითრომადა, თავი გასაკდომაზე ჰქონდა. დიდხანს იჯდა ძალ-ლონე გაგროცლილი, შემდეგ საპუშაო მაგიდას მიუჯდა, საწერ-კალამი და ქაღალდი ამომაზადა და მისთვის ჩვეული სწრაფი მანერით წერილი მისწერა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

წერილი კონვერტში ჩადო და დაწერა: „სკკპ ცენტრალურ კომიტეტს“.

* * *

ფადეევის თვითმკვლელობის მწუხარე ამბავი იმავე დღეს ცნობილი გახდა მთელი მოსკოვისათვის. ტრაგედიის ადგილზე პირველი მივიდნენ მწერლები კონსტანტინ ფედინი, ვსევოლოდ ივანოვი და ვასილ აფანასიევ. ბალს ბალს გამოწვდა ამბავი. ბალეროვ ბალეროვ. ბალეროვ ბალეროვ. ბალეროვ ბალეროვ

შეგღუდული პასუხისმგებლობის საგოგადოება „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის“ პარტნიორთა კრების მიერ 2005 წლის 9 დეკემბრის №2 ოქმით

მუხლი 1. დებულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი (პალატა) – შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატა“.

1.2 პალატის დირექტორი – შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის პარტნიორთა კრების მიერ დირექტორად არჩეული პირი.

1.3 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე – პალატის დირექტორის მიერ არბიტრთა სიიდან დანიშნული პირი.

1.4 არბიტრაჟი (საარბიტრაჟო კოლეგია) – მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ, არბიტრთა სიიდან, კონკრეტული საქმის განხილვისათვის განსაზღვრული სამწევრიანი შემადგენლობა, რომელიც უფლებამოსილია დებულებით დადგენილი წესით განიხილოს მხარეთა შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა.

1.5 საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარე – კონკრეტული საქმის განხილვისათვის შექმნილი არბიტრაჟის (საარბიტრაჟო კოლეგიის) წევრთა მიერ თავმჯდომარედ არჩეული პირი.

1.6 არბიტრი – პალატის დირექტორის მიერ, საქმეთა განხილვისათვის ბრძანებით დანიშნული პირი.

1.7 კანონი – „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი.

1.8 სამართალი – საქართველოს სამართალი.

1.9 დავა – სამოქალაქო დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა ან დაექვემდებარა პალატას.

1.10 მხარეები – პრეტენდენტი (საარბიტრაჟო პრეტენზიის აღმძვრელი პირი) და მოპასუხე (რომელმაც პასუხი უნდა აგოს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე).

1.11 მესამე პირი – მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით საქმეში ჩართული დაინტერესებული პირი, რომლის უფლება-მოვალეობებსაც შეიძლება რომ შეეხოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება.

1.12 მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით – დაინტერესებული პირი, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ პრეტენზიას დავის საგანზე.

1.13 მტკიცებულება – ნებისმიერი მონაცემი (წერილობითი, ზეპირი და სხვა.), რომელთა განხილვის შედეგად არბიტრაჟი აგდენს მხარეთა მოთხოვნების საფუძვლიანობასა და დასაბუთებულობას.

1.14 საარბიტრაჟო განხილვა – არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვა.

1.15 საარბიტრაჟო შეთანხმება – საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრამდე ან აღძვრის შემდეგ მხარეთა შორის არსებული წერილობითი შეთანხმება, კონკრეტული დავის და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის საარბიტრაჟო წესით გადაწყვეტის შესახებ.

1.16 დებულება – შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის“ დებულება.

1.17 ბრძანება – პალატის დირექტორის მიერ გამოცემული შიდა აქტი.

1.18 შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) – შრომის კანონმდებლობის საფუძველზე მუშაკთან გაფორმებული შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი კონტრაქტი.

1.19 მუშაკი – პალატის დირექტორთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) მონაწილე მეორე მხარე.

1.20 რეგისტრატორი – მუდმივმოქმედ არბიტრაჟში შემოსული საარბიტრაჟო პრეტენზიების და ყველა სხვა სახის წერილობითი კორესპონდენციების რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე, საქმეთა განხილვისას სხდომის ჩანაწერების შემდგენელი პირი.

მუხლი 2. ზოგადი დებულებანი

2.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ხელშეკრულების მხარეთა შორის წამოჭრილ სამოქალაქო-სამართლებრივ დავებს განიხილავს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონითა და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესების მიხედვით.

2.2 მხარეთა წერილობითი შეთანხმება, რომელიც აღვენს დებულებით დადგენილი საქმის განხილვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის განსხვავებულ წესს, მუდმივმოქმედი არბიტრაჟისათვის სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეთანხმების უფლება მხარეებს მინიჭებული აქვთ კანონით.

2.3 დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ან საარბიტრაჟო კოლეგია (კოლეგიის თავმჯდომარე) უფლებამოსილია განხორციელოს კანონით და დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი საპროცესო მოქმედება.

2.4 მხარეები საქმის წარმოებას იწყებენ დებულებაში და კანონში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად მუდმივმოქმედ არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის გზით. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმე დაამთავრონ მორიგებით, პრეტენდენტს შეუძლია უარი თქვას პრეტენზიაზე, მოპასუხეს შეუძლია ცნოს საარბიტრაჟო პრეტენზია.

2.5 საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გაიკარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაიდოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

2.6 საქმის გარემოებათა გამოსარკვევად საარბიტრაჟო კოლეგიას შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

2.7 ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღების საკითხს, მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე წყვეტს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი (პალატა).

2.8 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით წყვეტს ამ დავის განმხილველი საარბიტრაჟო კოლეგია. ამასთან, საარბიტრაჟო შეთანხმების, როგორც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილის ნამდვილობა დამოკიდებული არ არის თვით ამ ხელშეკრულების ან მისი კონკრეტული ნაწილის (ნაწილების) ნამდვილობაზე. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის და უფლებამოსილების შესახებ საარბიტრაჟო კოლეგიას გამოაქვს ცალკე გადაწყვეტილება, რომლითაც საქმეს ცნობს დასაშვებად, იღებს განსახილველად და ნიშნავს არსებითად განხილვის თარიღს.

2.9 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ დავაზე თავისი კომპეტენციის ცნობის შემთხვევაში ეს დებულება განახილება როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელი ნაწილი. ამასთან, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე ნაწილი ეწინააღმდეგება ამ დებულების რომელიმე წესს, მოქმედებს დებულების შესაბამისი წესი. დებულებით მოუწესრიგებელი (გაუთვალისწინებელი) პროცედურული საკითხის გადაწყვეტის უფლება აქვს პალატის დირექტორს, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, საარბიტრაჟო კოლეგიას (კოლეგიის თავმჯდომარეს) თავისი ინიციატივით ან რომელიმე მხარის მიმართვის საფუძველზე.

2.10 თუ მხარეთა შორის არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება, რომ მათ შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა განხილილს და გადაწყვეტოს არბიტრაჟმა, მიიჩნევა, რომ არბიტრაჟის კომპეტენციის ან უფლებამოსილების საკითხის გადასწყვეტად ისინი არ მიმართავენ სასამართლოს ან სხვა ორგანოს.

2.11 მუდმივმოქმედ არბიტრაჟს (პალატას) ჰყავს პალატის დირექტორის მიერ დანიშნული რეგისტრატორი. მხარეები მუდმივმოქმედ არბიტრაჟს მიმართავენ რეგისტრატორის მეშვეობით.

მუხლი 3. არბიტრაჟის შემადგენლობა

3.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის წევრებს (არბიტრებს) ნიშნავს პალატის დირექტორი თავისი ბრძანებით, რომელიც იმავდროულად მათთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს (კონტრაქტს). არბიტრების ანაზღაურების საკითხს წყვეტს პალატის დირექტორი. შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ვადა და მისი გაფორმების წესი განისაზღვრება თვით ამ ხელშეკრულებით.

3.2 არბიტრობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს. არბიტრად დანიშვნაზე იგი იძლევა წინასწარ წერილობით თანხმობას.

3.3 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი საქმეს განიხილავს კოლეგიურად – სამი წევრის შემადგენლობით, რომლებსაც ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე. საარბიტრაჟო კოლეგია, არაუგვიანეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისა, ირჩევს საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარეს.

3.4 არბიტრი (საარბიტრაჟო კოლეგია) თავისი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით.

3.5 არბიტრის შეცვლის შემთხვევაში მის ნაცვლად დაინიშნება საარბიტრაჟო კოლეგიის ახალი წევრი.

3.6 თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში არბიტრაჟის წევრი, პირადი ინიციატივით შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან პალატის დირექტორის ბრძანებით. ასეთ შემთხვევაში მას შეუწყდება შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი).

მუხლი 4. საქმის განხილვიდან არბიტრის აცილება

4.1 საარბიტრაჟო კოლეგიის წევრები დამოუკიდებელნი და მეუკერძოებელნი უნდა იყვნენ მხარეთაგან და ნებისმიერ მესამე პირთაგან.

4.2 საქმეში მონაწილე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს არბიტრაჟის წევრის აცილება, თუკი არსებობს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ან სხვა გარემოება, რომლებიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევენ არბიტრაჟის წევრის მეუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში, აგრეთვე, თუ არბიტრაჟის წევრი არ ფლობს საარბიტრაჟო განხილვის ენას.

4.3 მხარე, რომელსაც განზრახული აქვს არბიტრის აცილება, ვალდებულია ამის შესახებ წერილობით განცხადება წარადგინოს 10 დღის ვადაში საარბიტრაჟო კოლეგიის შესაბამისი წევრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ეს გარემოება ცნობილი გახდა. აცილების საკითხს წყვეტს საარბიტრაჟო კოლეგია, იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, რომლის აცილების საკითხიც უნდა გადაწყდეს. ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში საარბიტრაჟო კოლეგია ვალდებულია დააკმაყოფილოს არბიტრის აცილების მოთხოვნა.

4.4 არბიტრი შეიძლება აცილებულ იქნეს თუ:

ა) პოლიტიკური თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურეა;

ბ) სასამართლო განაჩენით მსჯავრდებულია განზრახი დანაშაულის ჩადენაში და შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა;

გ) ამ საქმის აღრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად ან წარმომადგენლად;

დ) არის მხარის ან მისი წარმომადგენლის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, და ან ძმა;

ე) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს;

ვ) თუ არსებობს სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევენ არბიტრის მეუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში.

ამ მუხლის „ვ“ პუნქტის საფუძველზე აცილების განმცხადებელი მხარე ვალდებულია დაადასტუროს შესაბამისი საფუძვლის არსებობა.

მუხლი 5. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები, დავის საგნის ღირებულება

5.1 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს შეადგენს არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები.

5.2 არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო მოსაკრებელი და დავის განხილვასთან, აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

5.3 არბიტრაჟის გარეშე ხარჯებს შეადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

5.4 საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული დავის განხილვასა ან გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით გაწეული რაიმე ხარჯი.

5.5 საარბირტაჟო მოსაკრებლის გადახდა წარმოებს:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

ბ) შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

გ) მესამე პირის საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე;

დ) საარბიტრაჟო საჩივარზე გადაწყვეტილების განმარტების შესახებ.

5.6 საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა ქონებრივ დავებში გამოითვლება დავის საგნის ღირებულებიდან შემდეგი ოდენობით, გარდა 5.5 მუხლის „დ“ პუნქტისა:

ა) 10 000 ლარამდე დავის საგანზე – 500 ლარს დღგ-ს გარეშე;

ბ) 10 001-დან 100 000 ლარამდე დავის საგანზე – 500 ლარს მიმატებული 10 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 4% დღგ-ს გარეშე;

გ) 100 001-დან 500 000 ლარამდე დავის საგანზე – 4 100 ლარს მიმატებული 100 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 3% დღგ-ს გარეშე;

დ) 500 001-დან 1 000 000 ლარამდე დავის საგანზე – 16 100 ლარს მიმატებული 500 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 2% დღგ-ს გარეშე;

ე) 1 000 001 ლარის ზემოთ დავის საგანზე – 26 100 ლარს მიმატებული დავის საგნის 1% დღგ-ს გარეშე;

5.6.1 არაქონებრივ დავებში საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 500 ლარს დღგ-ს გარეშე.

5.7 5.5 მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ საჩივარზე, რომელიც შეტანილია მხარის ან დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე შესაბ პირის მიერ, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს განსამარტავ საქმეზე გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 10-20%-მდე საქმის სირთულის მიხედვით, დღგ-ს გარეშე.

5.8 5.6 მუხლით გათვალისწინებული მოსაკრებლის მინიმალური ოდენობა არის 500 ლარი დღგ-ს გარეშე; ხოლო მაქსიმალური – 50 000 ლარი დღგ-ს გარეშე.

5.9 პრეტენდენტი ვალდებულია საარბიტრაჟო პრეტენზიაში თვითონ განსაზღვროს დავის საგნის ღირებულება. თუ მის მიერ მითითებული ღირებულება აშკარად არ შეესაბამება დავის საგნის რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს საარბიტრაჟო კოლეგია.

5.10 თუ ერთ პრეტენზიაში სხვადასხვა ვალდებულებიდან (ხელშეკრულებიდან) გამომდინარე რამდენიმე მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მოთხოვნისათვის ცალ-ცალკე და შესაბამისად ცალ-ცალკე დგინდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა.

5.11 დავის საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილი იქნა საარბიტრაჟო პრეტენზია.

5.12 თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ან საარბიტრაჟო კოლეგია, შემდეგ კი ხდება ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება ან დამატებით გადახდევინება.

5.13 დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები:

ა) საარბიტრაჟო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ) სპეციალისტების, ექსპერტებისა და თარჯიმნისათვის გაწეული ხარჯები;

გ) ადგილობრივი დათვალიერების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები;

დ) არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

„ა“ პუნქტით გათვალისწინებულ ხარჯებს მხარეები გაიღებენ თანაბრად, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

„ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე.

„დ“ პუნქტით გათვალისწინებულ ხარჯები გადახდება გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოვალე მხარეს.

5.14 თუ მხარეთა შორის არ არის სხვაგვარი შეთანხმება, იმ მხარის მიერ გაწეული საარბიტრაჟო ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, დაეკისრება მეორე მხარეს. თუ საარბიტრაჟო პრეტენზია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ პრეტენდენტს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება პრეტენზიის იმ ნაწილის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

5.15 საარბიტრაჟო ხარჯები განაზევრდება საარბიტრაჟო პრეტენზიის ცნობის ან მხარეთა მორიგების შემთხვევაში. თუ პრეტენზიის ცნობა ან მხარეთა მორიგება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ საარბიტრაჟო ხარჯების გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის განხილვით გამოწვეული ხარჯებით.

მუხლი 6. საარბიტრაჟო განხილვის საფუძველი და წესი

6.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვის დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია, რომელიც უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და გადაეცეთ ამ საქმისათვის განსაზღვრულ საარბიტრაჟო კოლეგიის წევრებს.

საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟში (პალატაში) საარბიტრაჟო პრეტენზიის რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.

საარბიტრაჟო პრეტენზია და მასზე თანდართული საბუთები მუდმივმოქმედ არბიტრაჟს უნდა წარედგინოს იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მოპასუხე და მესამე პირიც (მათი არსებობის შემთხვევაში) არის საქმეში.

6.2 საარბიტრაჟო პრეტენზია უნდა შეიცავდეს:

ა) მხარეთა სრულ დასახელებას და მათ საცხოვრებელ (იურიდიულ) მისამართს;

ბ) დავის საგნის მოკლე აღწერას;

გ) პრეტენდენტის მოთხოვნას;

დ) პრეტენზიის ფასს;

საარბიტრაჟო პრეტენზიას უნდა დაერთოს ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელზეც ამყარებს პრეტენდენტი თავის მოთხოვნას და კავშირშია დავის საგანთან, ასევე, საარბიტრაჟო მოსაკრების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6.3 საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს პალატის იურიდიულ მისამართზე, ან თვით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილას.

6.4 საარბიტრაჟო განხილვის ენა არის ქართული. მხარეს, რომელიც არ ფლობს საარბიტრაჟო განხილვის ენას, დაენიშნება თარგიმანი, რომლის ხარჯებსაც გაიღებს თვითონ.

6.5 მუდმივმოქმედ არბიტრაჟში საქმეთა განხილვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით.

6.6 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სხდომები ღიაა. ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში სხდომა შეიძლება დაიხუროს. არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირად. არბიტრაჟს არ შეუძლია საქმე გადაწყვიტოს მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე თავს არიდებს ახსნა-განმარტების მიცემისათვის არბიტრაჟში გამოცხადებას.

მუხლი 7. საარბიტრაჟო განხილვისათვის საქმის მომზადება

7.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ვალდებულია საარბიტრაჟო პრეტენზია და მასზე თანდართული საბუთების ასლები გაუგზავნოს მოპასუხეს (მოპასუხეებს).

აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება არბიტრაჟის დებულება.

7.2 მოპასუხე ვალდებულია საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან 5 დღის ვადაში მუდმივმოქმედ არბიტრაჟს წარუდგინოს შესაგებელი საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია ან განცხადება საარბიტრაჟო პრეტენზიის ცნობის შესახებ. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში მხარეს უფლება არ ერთმევა, რომ თავისი მოთხოვნა და პოზიცია დააყენოს საქმის არსებითად განხილვის დროს.

7.3 არბიტრაჟი ვალდებულია მხარეს უწყებით (წერილობითი შეტყობინებით), დეპეშით, ფაქსით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (რაზედაც შესაძლებელია დასტურის მიღება) აცნობოს ყოველი სხდომის ჩატარების დრო და ადგილი (მისამართის მითითებით) სულ ცოტა 5 დღით ადრე შესაბამისი სხდომის გამართვამდე. წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდა ადრესატს პირადად ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ანდა იურიდიულ მისამართზე.

საარბიტრაჟო უწყება იგზავნება ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით. ადრესატისათვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს.

თუ უწყების მიმტანმა ადრესატი ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას, უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ ისინიც არ იმყოფებიან ადგილზე, იმავე სახლში მცხოვრებ სახლის მფლობელს, დამქირავებელს, ან სხვა პირს, რომელსაც შეუძლია უწყება გადასცეს ადრესატს. ასეთ შემთხვევაში, უწყების მეორე ეგზემპლარზე გარკვევით უნდა მიეთითოს, თუ ვის ჩაბარდა უწყება (სახელი, გვარი), აგრეთვე, ადრესატთან მისი დამოკიდებულება (მეუღლე, დედა, მამა, შვილი, მეზობელი და ა.შ).

თუ ადრესატი დროებით წასულია, უწყების ჩამბარებელმა პირმა უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღნიშნოს სად არის წასული ადრესატი და როდის მოელიან მის დაბრუნებას. ეს ცნობები დადასტურებული და დამოწმებული უნდა იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს, ან ადრესატის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის მიერ.

თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, ამის შესახებ უწყების მიმტანი აკეთებს სათანადო აღნიშვნას და უბრუნებს არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ითვლება ჩაბარებულად და არბიტრაჟს შეუძლია განახილოს საქმე.

მხარეები და მათი წარმომადგენლები ვალდებულნი არიან აცნობონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობების უქონლობის შემთხვევაში უწყება იგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

თუ მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია, არბიტრაჟი საქმის განხილვას შეუდგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც უწყება დაბრუნდება წარწერით, რომელიც ადასტურებს მის მიღებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან ადმინისტრაციის მიერ, სადაც ბოლო დროს მუშაობდა მოპასუხე.

იგივე წესით ხდება არბიტრაჟში მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების და თარჯიმნების მოწვევა.

7.4 არბიტრაჟს შეუძლია ნებაყოფლობით დაკითხოს მოწმეები და გამოითხოვოს მტკიცებულებები. თუ მოწმის გამოცხადება ან მტკიცებულების გამოთხოვა შეუძლებელია ნებაყოფლობით, არბიტრაჟს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოწმის გამოცხადების ან მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ.

არბიტრაჟის წევრი ვალდებულია დაიცვას საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

7.5 არბიტრაჟს შეუძლია მხარის მოთხოვნით დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი რომელიმე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. არბიტრაჟის უარი ექსპერტის დანიშვნაზე უნდა დასაბუთდეს. არბიტრაჟი ვალდებულია დანიშნოს ექსპერტი, თუ ამას მოითხოვს ორივე მხარე.

ექსპერტის დასკვნა არბიტრაჟისათვის სავალდებულო არ არის გასაზიარებლად.

7.6 არბიტრაჟს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ.

7.7 თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე.

თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის (იგივე ან წარმომადგენლად დანიშნული სხვა პირის) სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინაღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

მუხლი 8. მხარეთა უფლებები

8.1 მხარეები სარგებლობენ თანაბარი საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები მათ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, გაანაცხადონ აცილებანი, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დასვანან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

8.2 პრეტენდენტს უფლება აქვს საქმის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს პარეტენზიო მოთხოვნების ოდენობა.

8.3 დავის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების შემდეგ საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ არბიტრაჟის თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო სხდომის გადადება სხვა დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს 5 დღისა.

8.4 საარბიტრაჟო პრეტენზიის შეცვლად არ ჩაითვლება პრეტენდენტის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიაში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სპარეტენზიო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

8.5 დაუშვებელია ისეთი ცვლილება, რაც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმებისა და ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებს.

8.6 მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე უფლებამისილი წარმომადგენლის მეშვეობით.

8.7 ადვოკატის წარმომადგენლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

8.8 ორგანიზაციის წარმომადგენლობა დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით.

8.9 ფიზიკური პირების წარმომადგენლობა დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით.

8.10 მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გაიუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც წერილობით აცნობებს არბიტრაჟს და წარმომადგენელს. მხარის მიერ წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეწერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონისა და დებულების შესაბამისად შესრულებული ყველა იურიდიული და საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

8.11 წარმომადგენელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც არბიტრაჟს, ისე მის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში ან/და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. ამის გათვალისწინებით არბიტრაჟი დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა.

8.12 საარბიტრაჟო პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე პრეტენდენტის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;

ბ) სპარეტენზიო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;

გ) სპრეტენზიო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მოუხდავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

8.13 თითოეული მხარე პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

8.14 თანამონაწილენი სარგებლობენ კანონით და დებულებით მხარეებისათვის მინიჭებული ყველა უფლებებით.

8.15 თანამონაწილეებს შეუძლიათ სა

ხსოვნა

ბურჯი



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ღირსეულ პატივს მიაგებს თავის უკვდავ წევრებს – ქართული მეცნიერების კორიფეებს. ახლახან აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც იუბილარის სახელს ატარებს.

შესავალი სიტყვა აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ წარმოთქვა. მოხსენებებით გამოვიდნენ თეიმურაზ სახვარელიძე, კიტი მაჩაბელი, დიმიტრი თუმანიშვილი. რა თქმა უნდა, იყო მოგონებებიც.

ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელმა გიორგი ჩუბინაშვილმა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაინახა დიდი საისტორიო მიზანი – ეროვნული ხელოვნების განვითარების სურათის შექმნა. მეცნიერის შესანიშნავ ნაშრომებში ხელოვნების მოვლენები, მხატვრული შედევრები ორგანულადაა დაკავშირებული ისტორიულ ვითარებასთან, გარემოცვაცველ სამყაროსთან და რაც მთავარია, ეროვნულ ნიადაგთან. მკვლევარს ხელოვნების ძმნილება, უპირველეს ყოვლისა, ერის შემოქმედების ნაყოფად, სულის გამოხატულებად წარმოუდგებოდა.

გიორგი ჩუბინაშვილი გახლდათ პირველი, ვინ მეცნიერულად დასაბუთა ქართული ხელოვნების თავისთავადობა. მისი დასკვნები ქართული ხელოვნების მოვლენების კვლევას ეყრდნობა მსოფლიო ხელოვნების განვითარების გლობალური პროცესებისგან მოუწყვეტლად, ყოველი ძეგლი შესწავლილია თანადროული ხელოვნების განვითარების საერთო კონტექსტში, ჩართულია მსოფლიო ხელოვნების სისტემაში და აბიტომაცაა ეს ყველაფერი ესოდენ დამაჯერებელი და შთამბეჭდავი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და გ. ჩუბინაშვილის სახელოვნის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის გრიფით გამოსული კრებული „ქართული ხელოვნების ნარკვევები. IV“ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა და კარგი საჩუქარი გამოვიდა გამოჩენილი სწავლულის, მოღვაწისა და პიროვნების ხსოვნის კიდევ ერთხელ ნათელსაყოფად.

თამაზ ეგანოიძე

მუსიკალური სალონი

შთაბეჭდილებათა სიუხვე

წინასახალწლო დღეებმა ტრადიციისამებრ მრავალი დასამახსოვრებელი შთაბეჭდილებით დაგვაჯილდოვა, რომლებმაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს და დაადასტურეს თანამედროვე ქართული მუსიკალურ-საშემსრულებლო ხელოვნების მაღალი არტისტული დონე. გარდა ამისა, გაგვაცნეს მთელი რიგი ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსები, რომელთაგან ახლო მომავალში კიდევ უფრო დიდ წარმატებებს უნდა ველოდოთ...

ჩვენი მუსიკალური საზოგადოება კარგა ხანია აღევნებს თვალს ახალგაზრდა პიანისტის ანი ტაკიძის შემოქმედებითი განვითარებასა და წინსვლას. მას ვიცნობთ როგორც ნიჭიერ, ფაციფერ არტისტული გუნებების ხელოვანს (თბილისის კონსერვატორია მან პროფ. ნანა ხუბუტიას ხელმძღვანელობით დაამთავრა და უკვე რამდენიმე წელია თავის ოსტატობას სრულყოფს მიუნხენში პროფ. ფრანც მასინგერის კლასში. ანი აღრეც საკმაო წარმატებით გა-

ანი ტაკიძე

მოდიოდა სხვადასხვა პიანისტურ კონკურსებზე, მაგრამ მასული წლის გაზაფხულზე მან ნამდვილი შემოქმედებითი გმირობა ჩაიდინა. მოსკოვში უაღრესად რთულ და პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე მან – ერთადერთმა მშვენიერი ხმესის წარმომადგენელმა მოიკოვა ლაურეატის საპატიო წოდება (ჩვენი გაზეთი ამის შესახებ აღრეც წერდა!

ამ დიდი გამარჯვების შემდეგ ეს იყო ა. ტაკიძის პირველი გამოსვლა თბილისში, რომელმაც ყველა დაგვარწმუნა მისი ბრწყინვალე წარმატების სრულ კანონზომიერებაში. ანი ჩვენ წინაშე წარმოსდგა, როგორც მაღალი საერთაშორისო რანგის ხელოვანი, რომლის მთავარი მახასიათებელია დახვეწილი მუსიკალობა, უზადო ტემპოვნება, ესთეტიკური ალღო.

კონცერტის პროგრამაც იმგვარად იყო შერჩეული, რომ ზედიზედ წევნით წარმოჩენა, ჩვენი პიანისტის ეს სანაძეკო თვისებები. ბეთჰოვენის 32-ე საფორტეპიანოსონატის უიდეაანო სონატამ მან აღმაკვეტური ოსტატობით ააღლერა, ბრაამსის საფორტეპიანო პიესების (თხზ.76-ა კეთილშობილეა რომანტიკულად საგმაო ამ მოხიგლა მსმენელები.

უაღრესად საინტერესო გამოდგა პროკოფიევის მე-9 სონატის ინტერპრეტაცია, რომელითაც პიანისტმა აბრძოლინა მსმენელს ამ ნაწარმოების დაფარული, „სიღრმეში მდებარე“ თვისებები: ამაღლებულობა, ფილოსოფიური მეჭვრეტელობა.

შესანიშნავი იყო შოპენის ძმნილებების (ფანტაზია, ორი ნოქტიურნი)ძ შესრულებაც, დიდი შინაარსი კულტურით, პოეტური შთაბეჭდილებით რომ გამოირჩეოდა.

დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ თვისებებით მიიზიდა ქართველთა ძალიშვილმა მოსკოვური საერთაშორისო კონკურსის მკაცრი და ავტორიტეტული ჟიურის წევრებიც და მსმენელთა ფრიად მოთმინებით აუდიტორიაც.

* * *

კიდევ ერთ რაფინირებულ ესთეტიკურ სამყაროს ვეზიარეთ მომღერალ ალა სიმონიშვილის კონცერტზე, რომელსაც აბრეთვე მოსდევდა მსმენელზე ძალზე ძლიერი შთაბეჭდილება.

ა. სიმონიშვილს ჩვენ ვიცნობდით ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც მან დაამთავრა თბილისის კონსერვატორია ორი სპეციალობით, როგორც პიანისტმა და მოგოლერალა. შემდეგ იგი დიდი ხნით თვალს მიეფარა. ეუფლებოდა ვოკალური ხელოვნებას იტალიაში მამოჩენილი პედაგოგების ხელმძღვანელობით და ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ მალე საერთაშორისო აღიარებაც მოიკოვა, როგორც მომღერალმა.

ჩვენთვის კი ალა სიმონიშვილის „ხელახალი აღმოჩენა“ 2004 წელს მოხდა, როდესაც მან ჯერ საოპერო არიების შესანიშნავი შესრულებით დაგვატაკვო, ხოლო შემდეგ ბრწყინვალე ლია გაკვეთილები (ე. წ. „მასტერ-კლასები“) ჩაატარა კონსერვატორიის სტუდენტებთან.

ამჯერად ძალებატონი ალა ჩვენ წინაშე კამერული რეპერტუარით წარმოსდგა და, შეიძლება ითქვას, მოგვიხიბლა თავისი დახვეწილი ხელოვნებით.

პროგრამა ძირითადად იტალიელი კომპოზიტორების – როსინის, ძანდლიანის, ლეონკავალოს, ტოსტის, აბრეთვე ბრამსის, რაველის, ლისტის და სხვ. რომანსებისა და სიმღერებისაგან შედგებოდა, რომელთა შესრულება დიდ ოოკალურ ოსტატობას მოითხოვს. სიფაძიზე, დინამიური ბრალდაციების ბუნებრივია, უზადო ფრაზირება, ვირტუოზული ვოკალური ტექნიკა – აი, სტიჭვები, რომლებიც გვებადება ალა სიმონიშვილის ხელოვნების გაცნობით.

ბოლო ნომრად მომღერალმა შეასრულა კოეპოზიტორ ნანა გველესიანის მშვენიერი რომანსი „ალილო“.

ეჭვი არ მეპარება, რომ ამ შესანიშნავი მომღერლის და პედაგოგის თანამშრომლობა თბილისის კონსერვატორიასთან კვლავაც გაგრძელდება, ხოლო ჩვენ – მსმენელებს კი არაერთგზის მოგვეცემა მისი ხელოვნებით ტკბობის საშუალება.

დასასრულ, აუცილებელად უნდა ითქვას, რომ მომღერალს ამ სალამოზე ჰყავდა შესანიშნავი პარტნიორი, დიდებული მუსიკოსი ქალბატონი ნანა დიმიტრიადი. ჟეშმარიტად, ეს იყო შეუდარებელი ანსამბლი!

* * *

ახლა კი – მოკლედ – ახალგაზრდა მუსიკოსების კონცერტების შესახებ. როგორც ცნობილია, სულ ცოტა ხნის წინათ ბაქოში გაიმართა ვოკალისტების საერთაშორისო კონკურსი, რომელზედაც ოთხმა (ყ ქართველმა ახალგაზრდა მომღერალება ლაურატის წოდება მოიკოვა.

ერთ-ერთი მათთანი გახლდათ ჩვენი კონსერვატორიის სტუდენტი სოფიკო გერდელაძე (სოპრანოდ, რომელმაც თავის თანაკურსელ მიხეილ შეშაგერიძესთან (ტენორიდ ერთად ვოკალური მუსიკის საღამო გამართა კონსერვატორიის მცირე დარბაზში. ორივე მათთანის პედაგოგია შესანიშნავი სპეციალისტი, პროფესორი გულნარა კარიული.

პროგრამაც შესაფერისი იყო: გენიალური რომანტიკოსი კომპოზიტორის რობერტ შუმანის ვოკალური ციკლები: „პოეტის სიყვარული“ (მ.შეშაგერიძის შესრულებით) და „ქალის სიყვარული და ცხოვრება“ (ს.გორდელაძის შესრულებით), რომელებიც, სამწუხაროდ, ძალზე იშვიათად ჟღერს ჩვენში.

ჩვენებულ მონაცემებთან ერთად, ახალგაზრდა მომღერლებმა კარგი პროფესიული მომზადებაც გამოამჟღავნეს. ამიტომ იყო, რომ მათ გამოსვლას დამსახურებული წარმატება ხვდა, რაც იმ თავისი წვლილი შეიტანა პიანისტმა – აკომპანიატორმა მანანა ჯანგავაძემ.

კიდევ ერთმა ახალგაზრდა მომღერალმა ქეთევან ელიავამ დაგვამახსოვრა თავი მშვენიერი მუსიკალური და ვოკალური კულტურით (მისი პედაგოგია პროფესორი ლამარა გოგლიჩიანიძე. მის მიერ შესრულებული რთული და მრავალფერეროვანი პროგრამა მეტყველებს უტყუარ პროფესიულ შესაძლებლობებზე.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო მაგიტრატურის პირველკურსელმა, ძალზე ლამაზი ხმის (ტენორიდ პატორნმა არამაზ დარაშვილმა (იგიც ლ. გოგლიჩიანის მოწაფეაძ. ძეთინოსა და არამაზის მიერ შესრულებულმა მანონისა და დე გრიეს დუეტმა (პუჩინის მუსიკაძ დარბაზის აღტაცებაა გამოიწვია. ჩვეულ მაღალ დონეზე იყო ცნობილი პიანისტის თემურ ელიავას აკომპანიმენტი.

დაგროლის, არ შემიძლია არ ვთქვა ორიოდე სიტყვა თბილისის სამუსიკო გიმნაზიის კონცერტის შესახებ, რომელიც მიეძღვნა ახლახან გარდაცვლილი მისი დირექტორის, გამოჩენილი მუსიკოსის გივი ხატიაშვილის ხსოვნას.

მე, როგორც ამ შესანიშნავი მუსიკალური ერის ყოველი ალაზრდილი, სიამოვნებით დავრწმუნდი, რომ ჩვენ მუსიკალურ ხელოვნებას შესანიშნავი ნიჭიერი ახალგაზრდოვა ეზრდება.

გულბათ ტორაძე,
პროფესორი

ალა სიმონიშვილი

მოვლენის წინ

„ტოპის“ მეორედ (ჩა)მოსვლა



ზეგ გამთენიისას საქართველოს დედაქალაქს კლაუს ტოპმიოლერი და მისი ადვოკატი, დოქტორი შაიტი ეწვევიან. ამასწინანდელი გაცნობითი ხასიათის ვიზიტის შემდეგ, როცა მეუღლეც თან ახლდა, განთქმულმა გერმანელმა მწვრთნელმა ოჯახთან ერთად საშობაო არდადეგები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარა და თბილისში ამჯერად კონტრაქტზე ხელმოსაწერად ჩამოდის – „ტოპი“ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მეთოდისტად თავაკაცი გახდება. ეს მნიშვნელოვანი შეხვედრა 9 იანვარს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის რიგგარეშე სხდომის დასრულებისთანავე მოხდება, სადაც ოფიციალურად მოიხსნის უფლებამოსილებას ძვირფასი სტუმრის საგებლისწერო წინამორბედი გაიოზ დარასაძე.

ბუნებრივია, მომავალი „სდელკის“ ფინანსური დეტალები კონფიდენციალური რჩება, თუმცა უკვე ცნობილია თმახუჭუჭა სპეციალისტის თანაშემწეთა ვინაობა. ერთ-ერთი მათთანი – რალფ მინგე თვით „ჯვაროსანთა“ პოტენციურმა დამრიგებელმა ოკეანის გადვა გამგზავრებამდე დაასახელა და მისი კანდიდატურის გამყლავნება არც არავის გაჰკვირვებია – ალნიშნული წყვილი ხომ ახლო წარსულში წარმატებით თანამშრომლობდა „ლევერკუზენში“. რაც შეეხება მეორე ასისტენტის სახელსა და გვარს, იგი ჯერჯერობით მხოლოდ კულუარული ინფორმაციით გახდა ცნობილი, თუმცა ფრანკფურტის „აინტრახტში“ მოღვაწეობის დროიდან მოყოლებული ახლო ურთიერთობის გათვალისწინებით, რაც ბუნდესლიგაში მოკოვეული გრინჯაოს ედლით დაგვირგვინდა, სავსებით კანონზომიერად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ეს გახლავთ საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის პირველი კაპიტანი, ამჟამად თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი კახი ცხადაძე, რომელიც, როგორც შევიტყვეთ, პარალელურად თავისი კლუბის სათავეშიც განაგრძობს მუშაობას.

დავძენთ, რომ კლაუს ტოპმიოლერი თბილისიდან 10 იანვარს გაემგზავრება და კიდევ ერთხელ, უკვე ახალ ამჯლუაში, ზუსტად ერთ თვეში გვეწვევა მალტის ოთხთა ტურნირისათვის „ჯვაროსანთა“ მოსამზადებლად.

ოფოზიცია

„15 წლის კარლსონებს ყველაფერი კი არ შეუძლიათ!“



ამას წინათ, ქალაქ ხანტი-მანსიისკში დამთავრებულ მსოფლიოს თასზე გასაოცარ წარმატებას მიაღწია 15 წლის ნორვეგიელმა მაგნუს კარლსონმა, რომელმაც მსოფლიოს მოგავალ ჩემპიონატში ორნაწილიანის უფლება მოიკოვა. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, 1958 წელს დამყარებული რობერტ ფიშერის ფენომენური ბიოწევნის გაუთვალისწინებლად.

ცოტა არ იყოს, განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ცნობილი დიდოსტატი მიხეილ გურევიჩი, რომელიც ადრე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო, შემდეგ ბელგიის ჩემპიონოზაც მოიკოვა, ახლა კი ათწლიანი კონტრაქტი გააფორმა თურქეთის საჰადრაკო ფედერაციასთან, და, ეტყობა, ამ ქვეყნის ჩემპიონიც გახდება!

– 15 წლის კარლსონებს ყველაფერი კი არ შეუძლიათ! ვის შეუძლია გააუქმოს ისეთი ცნებები, როგორიც არის პოზიციის გაგება, გამოცდილება, ინტუიცია, ენდშპილის თამაშის უნარი. გარდა ამისა, სტრატეგიულ გრძოლას შუა თამაშში კომპიუტერით ვერ ისწავლი. რა თქმა უნდა, საჰადრაკო პარტიაში დასაწყისი დიდ როლს ასრულებს, ამ მხრივ კი ისეთ „კომპიუტერულ გიჟუნებს“, როგორიც მაგნუსია, სხვა მონაწილეებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვთ. ისინი ძალიან სწრაფად იზრდებიან. რას იზამთ: კომპიუტერები გვიწრეტენ და მაინც ნუ შეგვეშინდება. ჭადრაკი შემოქმედებით თამაშად რჩება, რომელსაც ყველაზე კარგად მაინც ადამიანები ეუფლებიან.

ოზბიტაზე

წარმატებული დაბრუნება

პროფესიულ ჩოგბურთთან სამი წლის იძულებითი განშორების შემდეგ კორტზე წარმატებით დაბრუნდა ყოფილი მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანი, შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი.

ავსტრალიის ქალაქ გოლდ-კოსტაში ტრადიციული ტურნირით, რომლის საპრიზო ფონდი ავსტრალ 175 ათასი დოლარია, დაიწყო ახალი საჩოგბურთო სეზონი, 16 იანვარს კი სტარტს აიღებს ავსტრალიის ღია ჩემპიონატი.

25 წლის მარტინა ჰინგისმა, რომელიც ტრავმების გამო 2002 წლიდან აღარ თამაშობდა, სასტარტოთამჭრში დაამარცხა ვენესუელელი მარია ვენტო-კაბჩი – 6:2, 6:1, შემდეგ ყოფილმა ჩოგბურთის დედოფალმა სანლია ჩეხი კლარა კუკალოვა – 6:3, 6:2.

ერთი წლის წინათ ჰინგისმა სცადა დიდ სპორტში დაბრუნება, მაგრამ ამაოდ დაშვრა. პირველსავე მატჩში დამარცხდა.

ერთი თვის წინათ კი ისევ გაანცხადა დაბრუნების სურვილი და როგორც ჩანს, უკვე საკმაოდ კარგ ფორმაშია და მზადაა უძლიერეს ჩოგბურთელებთან შესახვედრად.

შეგახსენებთ, რომ თავის კარიერაში – 1994 წლიდან – 2002 წლამდე მარტინამ 40 ტურნირი მოიგო, აქედან ხუთი – დიდი მუზეუროვანდის სერიისა (სამჯერ – ავსტრალიის ღია ჩემპიონატი და თითოჯერ – ამერიკის ღია ჩემპიონატი და უიმბლდონიძ.

საბროზა – „ლივერპულში“?



თუმცა საკითხი ბოლომდე ჯერ არ გადაწყვეტილა, მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, ინგლისურმა „ლივერპულმა“ 8 მილიონი ევრო შესთავაზა პორტუგალიის „ბენფიკას“ ნახევარმცველ სიმა საბროზაში. „წითლების“ მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი იმედოვნებს, რომ პორტუგალიელი აუცილებლად გახდება „ლივერპულის“ მოთამაშე და ის სტადიონ „ენფილდ როუდზე“ გაუნმ გამოჩდება, როგორც კი მოურიგდება „ბენფიკას“ პრეზიდენტს ლუის ფელიპე ვიერას.

რონალდოს რეკორდის დამხობა სურს

ფეხბურთში ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი რონალდო იმე-

დოვნებს, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ის გახდება პირველი ფეხბურთელი, ვისაც ყველაზე ხშირად გააქვს გოლი.

„კიჩას“ ანგარიშზე ჯერჯერობით 12 გოლია, რაც ორით ნაკლებია ლეგენდარული ბერმანელის ბერდ მიულერის „ნაფაფლეზე“. მან ხომ უკანასკნელი გოლი შორეულ 1974 წელს გაიტანა, როცა გფრ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ჯერჯერობით რონალდო 4 გოლის ავტორია 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, როდესაც ბრაზილია ფინალში საფრანგეთთან დამარცხდა და 8 გოლისა – იაპონიასა და სამხრეთ კორეაში, როდესაც ბრაზილიელები მეხუთედ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები.

„ვიმედოვნებ, რომ რამდენიმე გოლს გავიტან მსოფლიო ჩემპიონატზე და დავამხობ ამ რეკორდს. ეს ჩემი მიზანია“, – თქვა რონალდომ, სავჯარ რომ აღიარეს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად.

ავეია დიასახლისი

უსიამოვნო ინციდენტით ჩაიარა კათოლიკურმა შობამ ცნობილი ტელემასპინძის, სერიალის „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავის ევა ლონგორიასთვის. საშობაო ზეიმზე რომ მიეფურჩგნოდა მეგობართან, ცნობილ ფრანგ კალათბურთელ ტონი პარკერთან ერთად, მათი მანქანა სანანტონიოს ერთ-ერთ ქუჩაში პოლიციელმა გააჩერა.

როდესაც სამართლდამცავი მანქანას მიუახლოვდა, იქიდან უნდაწური ბენეგა მოესმა. იგინებოდა ევა, რომელიც უკმაყოფილო იყო იმით, რომ საშობაო ფრონტარეებზე მიმავალი გააჩერეს. როგორც ინგლისური The Sun იტყობინება, მან პოლიციელს უწოდა „აყროლეგული მეძესიკელი, რომელიც ქუჩაში იმიტომ დაეხეტება, რომ ცნობილ ადამიანებს ატომგრაფები გაეოსტყოს“. თავისი ეს ტირადა ლამაზმანმა დასასრულს ოთხსასოიანი ინგლისური სიტყვით, რაც ჩვენებურად დაახლოებით დედის გინებას ნიშნავს.

როდესაც შემდეგ ლონგორიას ამ ინციდენტზე ჰკითხეს, მან ყოველივე უარყო. თან დაამატა, რომ ის არასოდეს ურიგოდ არ მოიხსენიებს ხოლმე ადამიანის ეროვნებას, მით უმეტეს, მეძესიკელებსა, რადგან თავადაც თურმე მეძესიკური წარმოშობისაა.

მხოლოდ იმის დამატება შეგვიძლია, რომ ერთი კვირით ადრე ჟურნალმა „მაქსიმ“ ევა „2005 წლის ყველაზე ფიცხ ქალად“ აღიარა.

ეს ინგლისია

შობა რას მიქვია

რისი შობა, რა ახალი წელი – ფეხბურთის სამშობლოში, ტრადიციამებრ, უკანასკნელ ერთ კვირაში პრემიერლიგის ერთგაუგადო ოთხი(ძტურის შეხვედრები გაიმართა. თუ არ გვჯერათ, თარილებსაც მოგახსენებთ: 26, 28, 31 დეკემბერი, 2, 3 და 4 იანვარი.

ამ დღეებში მორიგი გამარჯვება მოიპოვა „ჩელსიმ“, რომელმაც ლონდონურ დერბიში „ვესტ ჰემს“ სძლია – 3:1 (ლამამარდი, კრესპო, დროგბაძ და კიდევ უფრო გაზარდა ისედაც სოლიდური სხვაობა უახლოეს მდევრებთან: „არსენალი“ – „მანჩესტერი“ 0:0, „ბოლტონი“ – „ლივერპული“ 2:2.

ლიდერთა ჯგუფში: „ჩელსი“ – 58, „მანჩესტერი“ – 45, „ლივერპული“ – 41 ქულა (19 თამაშიდანძ.

მეზობლებთან

თუ 1 მარტამდე არ დაინიშნა

როგორც ცნობილია, ამჟამად რუსეთის ნაკრებს მთავარი მწვრთნელი არა ჰყავს. ამ პოსტზე ასახელებენ რამდენიმე კანდიდატურას. 1 მარტს კი მოსკოვის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ბრაზილიის ნაკრებს ელიან. მან, წინასწარი შეთანხმებით, თავისი ყველა ვარსკვლავი უნდა რამოიყვანოს, მათ შორის რონალდინიო, რონალდო, კაკა, როგერტო კარლოსი...

როგორც რუსული პრესა იუწყება, თუ იქამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი არ დაინიშნა, მაშინ გუნდს ალექსანდრ ბოროდიუკი მოამზადებს.

ოროტესტი

ვოლფგანგ ოვერატი: ირანი მსოფლიო პირველობაზე არ უნდა დაუშვან!

ახლო წარსულში განთავისუფლება მერგანელმა ფეხბურთელმა, ამჟამად კი „კიოლნის“ პრეზიდენტმა ვოლფგანგ ოვერატმა წამოაყენა წინადადება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტების რიცხვიდან გარიცხონ ირანის ნაკრები იმის გამო, რომ ამ ქვეყნის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადამ ანტისემიტური აზრები გამოთქვა. კერძოდ, პრეზიდენტი მეორე მსოფლიოომის დროს ებრაელების გენოციდს გამოგონილად თვლის და წინადადებით გამოდის, ისრაელის მოსახლეობა ევროპაში გადაასახლონ.

ჭადრაკი

ვიცე-პრემიერი ფიდეს აკრიტიკებს



რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა და ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრ ჟუკოვმა გააკრიტიკა ფიდეს ხელმძღვანელობა, რომელიც, მისი აზრით, არ ზრუნავს ერთი მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენად.

– მე დარწმუნებული ვარ, რომ 2006 წლის მთავარი საჭადრაკო მოვლენა იქნება მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ის პოლიტიკა, რომელსაც ფიდე ატარებს, აშკარად მცდარია, რადგან საჭადრაკო სამყაროში ყველა დაინტერესებულია იმით, რომ ერთი მსოფლიო ჩემპიონი გამოვლინდეს. დიახ, ან კრამნიკი, ან ტოპალოვი. ნუ მოიტიხოვნ, რომ საკმისოდ თვით კრამნიკმა წარმოადგინოს დიდი თანხა. ეს ფიდეს ამოცანაა. რაც შეეხება ჩვენ, ყოველნაირად დავეხმარებით კრამნიკს, რათა ითამაშოს ამ ორთაბრძოლაში.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

2005 წლის შედეგები: ხელახა ხავსასიაში (საქართველო)

გასულ წელს კავკასიის რესპუბლიკებში მურაფდებას მხოლოდ პოლიტიკური პროცესები რიდი ინსარდა. ამ რეგიონის კულტურულ ცხოვრებაშიც ბევრი საინტერესო მოვლენა მოხდა. იგათ შორის, ვინც წარმატებებს მიაღწია კულტურისა და სპორტის სხვადასხვა სფეროში, საეციალისტები ბევრს ასახელებენ, თუმცა შეფასებები ისანსამად, ყველაზე დიდი აღიარება დაიმსახურა ბიბლიოგრაფ ანდრეა ნინამ ნინო ანანიაშვილმა. ამის შესახებ გვესაუბრებიან ბიბლიოგრაფ ალა სიმონიშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი ეკატერინე ბოლოკაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი ეკატერინე ბოლოკაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი ეკატერინე ბოლოკაძე.

ოლეგ კუსოვი: კავკასიის კულტურული ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენათა შორის საეციალისტები გამოყოფენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფოაკადემიური თეატრის სპექტაკლებს. მათ დადგმაში დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთის სახალხო არტისტს, დიდი თეატრის პრიმას ნინო ანანიაშვილს. არც ისე დიდი ხნის წინათ პრეზიდენტმიხეილსაკაშვილის ოფიციალური სათავეში ჩაუფლა თეატრის სბალეტმოდა ლია ბაკურიანელ ბალეტმეტერ ალექსანდრ ბოლოკაძეს. ამ ბალეტმეტერ ალექსანდრ ბოლოკაძეს, თუ ეს ბალეტმეტერ ალექსანდრ ბოლოკაძეს, ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი ეკატერინე ბოლოკაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი ეკატერინე ბოლოკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი ეკატერინე ბოლოკაძე.

ზოგს მლვდელი მოსწონს, ზოგს მლვდლის ცოლი

ანზორ მელია: დემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლება ყოველნაირად უნდა დაეხმაროს პრესას, რომელიც საზოგადოების მაჯისცემის უტყუარი მაჩვენებელია

„საქართველოს რესპუბლიკა“ აკადემიური გაზეთია. მასში გამოსული თითქმის ყველა დარგის შესახებ გაეცნობა თავისთვის საინტერესო, მალალპროფესიული დონის სტატიებსა თუ ინფორმაციებს. მე, როგორც მედიცინის სფეროს სპეციალისტს, განსაკუთრებით მოგმწონს ისიც, რომ გაზეთს ყურადღების მიღმა არ რჩება მედიცინის პრობლემები და სიახლენი.

კიდევ ერთი ახალი წლის შემოგრძანებას ვულოცავ ქართული ჟურნალისტიკის ტრადიციების ფლაგმანს. იმედია, იგი გაუძლებს კიდევ მრავალ ქარიშხალს და გააგრძელებს ქართული თავისუფალი სიტყვის ტრადიციებს.

მხიგლავს მისი გამორჩეული ხელწერა, ფაქტებისა და მოვლენების პროფესიული ხედვა და ტრადიციებისადმი ერთგულება.

ნაგდვილად გულსატკენად გაჟღერდა ამ საახალწლო ფლეთებში ის ამბავი, რომ ასე ნაჩქარევად მოხვდა პრივატიზაციის სიაში გამომცემლობა „საქშოგლო“, სადაც მრავალი ჟურნალ-გაზეთის რედაქცია, სატელევიზიო არხი და რადიოა განთავსებული. თანაც ასე ეგაუმნარ ფასად მართალი გითხრათ, მე მეგონა, რომ პირიქით მოხდებოდა, დემოკრატიულ ქვეყნაში ხელისუფლება ყველანარად უნდა დაეხმაროს პრესას და არა გადაუჭრას არსებობისთვის აუცილებელი „ჟანგბადის არხი“.

SOS!

რატომ არ იყიდება ყველგან „საქართველოს რესპუბლიკა“?

ჩვენი გაზეთის გამავრცელებელთა საყურადღებოდ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები, ეს უკვე მერამდენედ, გულწრფელად და პრინციპულად შეგვახსენებენ, რომ გაზეთის გამავრცელებლები გვრგან თავს არიდებენ ამ მართლაც სანდო, აკადემიური, გაწონასწორებული, ტრადიციული, ყოველდღიური გამოცემის გაყიდვა-გავრცელებას.

მიზეზად ერთსა და იმავეს ასახელებენ: გაუყიდავ ეგზემპლარებს უკან არ იბრუნებენო!

ძვირფასო გამავრცელებლებო! – „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და გაზეთის გამომცემელი შპს „თანადგომა-1“ კარგა ხანია ყველა გაუყიდავ ეგზემპლარს უპირობოდ იბრუნებს უკან. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, მოითხოვეთ მეტი და მეტი „საქართველოს რესპუბლიკა“. ნუ მოიკლებთ ჩვენს ერთგულ მკითხველს ამ მართალი, პრინციპული, გამართული დედაქართულით შექმნილი გაზეთის წაკითხვის საშუალებას.

გაუყიდავ ეგზემპლარებს კი, თბილისშიც და ქუთაისშიც, გათუმშიც და ოზურგეთშიც, ზუგდიდსა და სენაკშიც, გორსა თუ თელავშიც, ყველგან, მთელ საქართველოში, თითოეული გამავრცელებლისგან უკან დავიბრუნებთ. თუ თქვენ ამის საშუალება არა გაქვთ, დაგვიკავშირდით რედაქციაში ტელეფონებზე: 98-96-33 ან 98-96-32 და ჩვენ უზრუნველყოფთ მათ დაბრუნებას.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, ყურად იღოთ ჩვენი თხოვნა. წარმატებული გამავრცელებლები წასალისდებიან.

გაგეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, შპს „თანადგომა-1“

გამოიწერეთ

სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

მიმართეთ „საქაპრესას“ (ტელ: 35.51.40ძ, „მაცნეს“ (37.40.49ძ, „უწყებანს“ (93.64.72ძ, „პრეს-ექსპრესს“ (96.23.11ძ, „პლანეტა-ფორტეს“ (93.38.73ძ, „ინფორსერვისს“ (34.09.35ძ, „ელვა-სერვისს“ (36.35.75ძ რაიონებსა და ქალაქებში – „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი – მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ღირებს: ერთი თვით – 13 ლარი, სამი თვით – 39 ლარი, 6 თვით – 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ – მუდამ თქვენი თანადგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.

ანეკდოტები

– სვამთ? – ეკითხება ექიმი პაციენტს.

– უარს არ ვიტყოდი!

* * *

– მამი, რად მოვედით ასე გვიან მაღაზიაში საყიდლებისთვის?

– ნუ ლაყბობ, განაგრძე გისოსების ხერხვა...

* * *

სვანს მაჯის ელექტროსაათი აჩუქეს. მეორე დღეს უკან დააბრუნა:

– წაილე, თუ ძმა ხარ, ეს საათი. გამაფუჭალა. 13 გაყავი ოცდარვაზეო, დამიწერა. სანამ გავყავი, უკვე ოცდაცხრაზე გახდა გასაყოფი...

* * *

– მამაჩემს სთხოვე თანხმობა ჩვენს ქორწინებაზე?

– კი, დავურეკე და ვუთხარი.

– მერე?

– არ ვიცი, ვინ მელაპარაკება, მაგრამ საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო.

* * *

მივიდა ტიპი რესტორანში. ერთი გოთლი არაყი და მანანის ფაფა მოითხოვა.

ოფიციანტმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ შეკვეთა შეასრულა. ტიპმა მეორედაც იგივე შეუკვეთა. მესამედაც.

– იქნებ რაიმე ნორმალური მისტანებელიც შეგეკვეთათ, – ვერ მოითმინა ოფიციანტმა.

– ახალგაზრდავ, ჩემი მიზანია დათრობა და არა ჭამა.

* * *

უფროსობაზე საუბრობენ როგორც მიცვალებულზე – ან კარგს, ან არაფერს.

* * *

შეკითხვა „სად, რა, როგორ?“ გადაცემის მონაწილეებს: თუ ძალთევზას მოვხარშავთ, რისი გულიანი გამოვა – თევზისა თუ ხორცისა?

ჩრეულთა ხვეღრი

1989 წლის მარტი იდგა. საქართველო ელოდა რასაც განსაკუთრებული, ათწლეულობით ნალოლიავების, ბრძოლასა და ქარტეხილებში გამოთარეგული ოცნების ახდენას... თავგანწირვისთვის მზადყოფნა და მოუთმენლობა ლამის ყველა ახალგაზრდის თვალებში იკითხებოდა. ტრაგედიას კი, თურმე, სამი-ოთხი კვირა გვაშორებდა.

ლექციებიც, ხშირად, ფორმალურად თუ ტარდებოდა, თუმცა უნივერსიტეტის ლამის ყველა ფაკულტეტს თავისი რჩეული ლექტორი (ან ლექტორები) ჰყავდა, მათ შორის, ბიოლოგებსაც...

4 მარტს მეათე ლექცია უნდა წაეკითხა მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულ 28 წლის ლექტორს, მეცნიერებათა კანდიდატს, ახოვან და სიმპათიურ ახალგაზრდას, პირველივე ლექციიდან სულგანაგული რომ უსმენდა აუდიტორია.

ელოდნენ სტუდენტები... იმ დღეს **აპოლონ ჯინჭარაძემ** პირველად და უკანასკნელად დაიგვიანა მშობლიურ უნივერსიტეტში.

გაგებება საოცარია; ბედმა სწორედ მას, სულ ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს არგუნა წილად გეტიტიკაში მოოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის ავტორობა, აღმოჩენისა, რომლის გამოც გარდაცვალებიდან რვა წლის შემდეგ აპოლონ ჯინჭარაძეს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში რუსეთის სახელმწიფო პრემია მინიჭა – შრომისთვის **„გენეტიკური დაქტილოსკოპიის თეორიული და გამოყენებითი პრობლემების დამუშავებაზე“.**

ივანე ბერიტაშვილის შემდეგ იგი მეორე ქართველი ბიოლოგია, ვისაც ეს ჯილდო მიეკუთვნოს.

საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში მეცნიერების ამ ტაბუდადებულ დარგში ქართველ მკვლევარებს არავინ მისცემდა ნორმალური მუშაობის საშუალებას. საამისო პირობები მხოლოდ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში იყო.

თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა კაბედრის გამგემ, პროფესორმა თეიმურაზ ლეჟავამ მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის წუსლეინის მუშაობის ლაბორატორიაში მიავლინა. მალე აპოლონ ჯინჭარაძე რუსეთის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა და იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დნმ-ის ევოლუციურად კონსერვატული ბაზმორეგადი თანაბამდევრობები და მათი გამოყენება გენომურ დაქტილოსკოპიაში“.

მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ გახდეს ქართველი მეცნიერის აღმოჩენის (რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ) მნიშვნელობა, ორიოდე სიტყვითი თავად გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდის შესახებ გობახსენებთ. იგი ეფუძნება ცოცხალი ორგანიზმების მეტაკვიდრული ნივთიერების – დნმ-ის ანალიზს. ყოველი ცოცხალი ორგანიზმი მემკვიდრულ ინფორმაციას გენების სახით ატარებს. სწორედ ისინი ბანაპირებენ თაობიდან თაობაში გარდამავალ ნიშან-თვისებას.

ჩვეულებრივი დაქტილოსკოპიის მეთოდით შეიძლება პიროვნების იდენტიფიკაცია. ხელის კანის ძარგების მეშვეობით გენომური დაქტილოსკოპია საშუალებას იძლევა პიროვნების იდენტიფიკაციისას ადამიანის ორგანოთა უჯრედებში არსებული დნმ-ის მოლეკულების ანალიზის საფუძველზე. მეთოდის წყალობით შესაძლებელია დამნაშავის დადგენა დანაშაულის ადგილზე დატოვებული სისხლის წვეთის ან თმის ღერის გამოკვლევით. რასაკვირველია, მეთოდი მოოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში წარმატებით გამოიყენება. თავის დროზე მისი დანერგვა საქართველოში შეუძლებელი გახდა მატერიალური გაზის უძოწლოების გამო.

გენომური დაქტილოსკოპიის ფუძემდებლად ინგლისელი ალეკ ჯეფრისი ითვლება (1987 წ.ძ. მის მიერ აღმოჩენილი სეტეიფიკური მოლეკულური ზონდით შესაძლებელი გახდა ცალკეული ინდივიდის დნმ-ებს შორის განსხვავებების იდენტიფიკირება, ანუ ამ ზონდით მოოლოდ ადამიანთა იდენტიფიკაცია შეიძლება. ხოლო აპოლონ ჯინჭარაძემ ალმოაჩინა ახალი ზონდი ერთ-ერთი ბაქტერიოფაგის (M - ცვლაფუძველზე, რომელიც უნივერსალურია ცოცხალი სამყაროს მიმართ.

ამ ზონდის საშუალებით შესაძლებელია იდენტიფიკირება ცალკეული ინდივიდუმებისა ადამიანებში, ცხოველებსა და მცენარეებში, ამრთვით განსხვავებების დადგენა მიკროორგანიზმების ცალკეულ შტამებს შორის.

ქართველი მეცნიერის კოლეგამ ა. ივანოვმა სწორედ აპოლონ ჯინჭარაძის მიერ აღმოჩენილი ზონდის საშუალებით მოახდინა რუსეთის უკანასკნელი მეფის ნიკოლოზ მეორის ნეშტის იდენტიფიცირება იაპონიაში შემონახული მონარქის სისხლით გაჟღენთილი დოლბანდის მეშვეობით.

გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1989 წელს გაცემულ საავტორო მოწმობაში ნათქვამია, რომ ეძლევა აპოლონ ჯინჭარაძეს გამოგონებისთვის – „ცოცხალი ორგანიზმის ნათესაობის განსაზღვრის მეთოდი“.

არა მხოლოდ „მომავლის“ მეცნიერებას ემახსურებოდა, თავადაც, შინაგანად, XXI საუკუნის მეცნიერი გახლდათ. მრავალმხრივი ინტერესებით, ხელოვნების, ლიტერატურის, მუსიკის, ფოტოგრაფიის ხაზგასმული სიყვარულით. ყოველთვის ერთ-ერთ პირველთაგანს ჰქონდა ყველაზე საინტერესო ჩანაწერები, აუდლიკაციები, ინგლისურენოვანი უახლესი გამოცემები; სრულყოფილად ფლობდა უცხო ენებს, სრიფოზულად იყო გატაცებული იოგათი.

მოგვიანებით კოლეგები იტყვიან – მისი საყვარელი საქმე ფანგრთელოგისთვის სახიფათო იყო...

თავად არასოდეს დაუჩივლია. იმედებით სავსე ჩამოვიდა საქართველოში, ყოველი ჩვენგანივით სჯეროდა, რომ 1989 წლის ამ უცნაურ გაზაფხულს გუნების გამოლვიძებასთან ერთად მთელი ერის გამოლვიძება, გამოფხიზლება და თავისუფლება დაანგვირგვინებდა, რომ მიზანი, რომელისკენაც წრფელი გულით, სუფთა ხელებით და ნათელი გონებით მიილტვი, აუცილებლად აღსრულდება.

ამგვარი შემართება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ისევე როგორც ჯიუტი სვლა მიზნისკენ, თუნდაც სიცოცხლის ფასად.

2006 წლის 6 იანვარს აპოლონ ჯინჭარაძე 45 წლისა გახდებოდა...

თამარ ჩხატარაშვილი

სხარტულა

საახალწლო პროგნოზები

უძართულპრესოდ პრეზიდენტი ვერ გაძლებს დიდხანს, და წერა-კითხვა რაკი იცის, დაიწყებს კითხვას...

* * *

კვლავ გევრის გაყიდვა კახას
მოელის სვენეგ-სვენეგით.
...თუ წონა შენი თან გახლავს,
ღარიბად არ იხსენები...

* * *

თუ ინებებს, გედია თუ ყისმათი,
ჩვენი კრივი აღარ გადაშენდება:
საუკუნის არა, მაგრამ წლის მატჩი
კოგასა და გიგას შორის შედგება...

თამაზ ილმელი

ტოლერანტობა

ეროვნულ უმცირესობათა კეირეული

შარშან, წლის მიწურულს, სენაკის რაიონის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით რაიონში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებთან შეხვედრის კვირეული გაიმართა.

საფაროო ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოუწყვეს ასირული დიასპორის წარმომადგენლებს, ყივლი შარტავეს მუზეუმისა და მისი სახელოგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა კი სენაკელ ებრაელებს გადაუშალეს გული.

ისრაელში მცხოვრებმა სიმონ ნიწუაშვილმა და სოსო მიხელაშვილმა სენაკში გატარებული წლები გაიხსენეს.

სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა მეგობრობის დასტური იყო სენაკის სამუსიკო სკოლაში რუსული დიასპორის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრა, რომელიც ასევე გულთბილ ვითარებაში ჩატარდა.

იოსებ გოგეჩია,
„სრ“ საკ. კორ.

ინფორმაცია

ქათმის გრიპის გავრცელებას მოსახლეობაც უნდა შეებრძოლოს

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი აცხადებს, რომ საქართველოში თეორიულად არსებობს ქათმის გრიპის გავრცელების საშიშროება, მაგრამ ეს მოსახლეობისთვის პანიკის საფუძველი არ უნდა გახდეს.

როგორც გიგი წერეთელმა „მედიანიუსს“ განუცხადა, თურქეთში ქათმის გრიპის დაფიქსირება სულაც არ ნიშნავს, რომ ის საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდება. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება ქათმის გრიპის გავრცელების წინააღმდეგ სერიოზულ ზომებს მიიღებს.

„უკვე შეძენილია სპეციალური შტაბი, რომელიც ქათმის გრიპთან ბრძოლას კოორდინირებას გაუწევს. გარდა ამისა, ჯანდაცვის სამინისტრო შეიქმნა სპეციალურ პრეპარატებს, რომლითაც აიცრება მოსახლეობის გარკვეული კატეგორია. ასე რომ, ხელისუფლება ყველანაირად მზად არის აღნიშნული დაავადების გავრცელებასთან საბრძოლველად. თუმცა მთავარია, ხალხი არ შეშფოთდეს და მოსახლეობაში პანიკა არ დაიწყოს“, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

მისივე თქმით, ელემენტარული უსაფრთხოების ზომები მოსახლეობამაც უნდა დაიცვას.

მედიანიუსი

თბილისში ბოტულიზმის 5 შემთხვევა დაფიქსირდა

ახალ წელს თბილისში ბოტულიზმის 5 ჯგუფური შემთხვევა დაფიქსირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაუვადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იინანიძემ განუცხადა, დაავადებულები კიტრის მწნილით მოიწამლნენ. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა პირველი ეტაპისათვის მძიმე იყო, თუმცა დღეისათვის დამაკმაყოფილებელია.

პაციენტები ამჟამად ინფექციური პათოლოგიის ცენტრში გადიან მკურნალობას და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. წელს ეს ბოტულიზმის პირველი გამოვლინებაა.

ინტერპრესნიუსი

გამოიცა

მეჩოდეც საჭირო უფრნალი

ამ დღეებში ჩვენს პერიოდიკას მეტად მნიშვნელოვანი საინფორმაციო და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „იურიდიული მეგზური“ შეემატა.



მისი მთავარი რედაქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელოგის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე **ავთანდილ დემეტრაშვილი** მკითხველისადმი მიმართვაში წერს: „ამ ჟურნალს იმ იმედით ვაფუძნებთ, რომ იგი სასარგებლო და საინტერესო იქნება ყველასთვის, ვინც წერა-კითხვა იცის“.

ნებისმიერი პროფესიის ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით ჟურნალს აქვს მრავლისმომცველი რუბრიკები, – „კონსტიტუციური სამართალი“, „საპენსიო კანონმდებლობა“, „საბაჟო კანონმდებლობა“, „მემკვიდრეობითი სამართალი“, „საქართველოს სახალხო დამცველი“, „ადვოკატები საქართველოში“, „გიზნესი და სამართალი“, „დეტექტივი“ და სხვ.

ჟურნალის პირველსავე ნომერს ეტყობა, რომ სარედაქციო საბჭოს (**თამარ დემეტრაშვილი** – გამომცემელ-რედაქტორი, **დავით ძერენაძე** – პასუხისმგებელი რედაქტორი, **მარინა თოფურიშვილი** – მარკეტინგის დირექტორი, **გია ლაფუური** – მხატვარი, **ქეთევან ნაკაშიძე** – კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, **ნათია შაყულაშვილი** – ოფის-მენეჯერი) დიდი მონდომებით, მართლაც შესანატრი ჟურნალისტური გემოვნებით უფროფია ქართულიმასმედიის ჭრელ ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად.

ჟურნალის მიზანი ერთმნიშვნელოვანია – ხელი შეუწყოს იურიდიულად განათლებული ადამიანის ჩამოყალიბებას, რომელსაც საკუთარი უფლებების დაცვაც ძალუძს და ქართული სახელმწიფოს უზენაესი კანონით, კონსტიტუციით მინიჭებული კეთილშობილური მიზნების განხორციელებაც.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია ერთიანდება ცნობილ იურისტებს – **ლევან გეფაშვილს, ნოდარ ერიაშვილს, კოტე კეფულარიას, კოტე ქუბლაშვილს, ალექსი ბაბუაშვილს, იური ტაბუცაძეს, გია ხუბუას.**

გზა მუშვიდობისა, იურიდიულო მეგზურო!

სპარტაკ ქოგულია

ლია, კოტე, დათო, მაია გოგეჩიები, ეკა თოდუა, თენგიზ ქარქაშაძე თანაუგრძნობენ დოდო და თემურ წულეიანკირებს საყვარელი მამის

ტოტოშა წულეიანკირის

გარდაცვალების გამო.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სასახლის ღვაწლმოსილი პედაგოგის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ციალა სალარაძის შვილის

გური მუჯირის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზურაბ სოსელია ოჯახით თანაუგრძნობს ომარ გოცირიძეს დედის

თამარ ასანიძე-გოცირიძის

გარდაცვალების გამო.

მეულლე ნინო ხაჩიძე, შვილი ლადო ცხადაია, შვილიშვილი აჩი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯემალ ვლადიმერის ძე ცხადაია

პანაშვიდი 6, 7 I, 16 სთ-ზე, გამოსვენება 8 I, 13 სთ-ზე. მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი, I შესახვევი, II კორპუსი, I სადარბაზო, ბინა №16.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.
ძიზიყის ძ. №12,
ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაბეჭდილია ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიები ნუ შემოგვთავაზებენ.